საერთო გაზეთი

№7 (512) • 6 მარტი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

გამარჯობა, ქართველებო! მე დავბრუნდი!

დიდი ცვლილებების გაზაფხული დაიწყო!

ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში არსებული პრობლემების უსწრაფესად დაძლევის **ზეამბიციური გეგმა** აქვს

აირჩიეთ სამში ერთი – გინდათ, დარჩით! გინდათ წადით! გინდათ გაირიცხებით!

ეკა ბესელიამ რამდენიც არ უნდა ირბინოს "რუსთავი 2"-ის სტუდიაში და რამდენი მადლობაც არ უნდა უთხრას ნიკა გვარამიას, ის მაინც ვერ გაიდგამს ფესვს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წიაღში

მამა ბასილი:

ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლა არ უნერია...

აქა ამბავი ნეფხვიაურ-კირკიტაურისა

პოლიტიკური ნოველა

ლევან ლორთქიფანიძე:

თუ ზუგდიდში მერის არჩევნები „ნაციონალებმა" მოიგეს, შეიძლება სამეგრელოში 90-იან წლების ახალი აჭარა გაჩნდეს

ორი „მსახიობის", კიმის და დონალდის, პოლიტიკური სპექტაკლი ჩავარდა

„თიბისი ბანკის“ საქმე

4 მარტს პარლამენტში „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლების, მამუკა ხაზარაძის და ბადრი ჯაფარიძის საკომიტეტო მოსმენა გაიმართა. ბანკის მესვეურები პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე იყვნენ მიწვეული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომის დაწყებისას კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ აღნიშნა: „დაახლოებით ორი კვირის წინ ბატონმა მამუკა ხაზარაძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა სურვილი მოსულიყო პარლამენტში და თავისი მოსაზრებები გამოეთქვა „თიბისი ბანკთან“ დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებზე. და მაშინ ვთქვი, რომ პარლამენტი არის ღია და, უპირველეს ყოვლისა, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტში, როგორც პროფილურ

კომიტეტში შეგვეძლო განგვეხილა ეს საკითხი“.

კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას მამუკა ხაზარაძემ აღნიშნა, რომ „თიბისი ბანკის“ წინააღმდეგ სახელმწიფოს შეტევა არის ორკესტრირებული და მსგავსი რამ არ ყოფილა ბანკის არსებობის 27 წლის განმავლობაში — 2018 წლის ივნისიდან ბანკის შემოწმება დაიწყო ოთხმა უწყებამ: ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა; პროკურატურამ; საგადასახადო სამსახურმა და ეროვნულმა ბანკმა.

ხაზარაძემ თავის გამოსვლაში ისაუბრა 2007–2008 წლებში „თიბისი ბანკის“ მიერ განხორციელებულ ტრანზაქციებზე. მისი განცხადებით, 2007 წელს „თიბისი ბანკმა“ დაარღვია კაპიტალის ადეკვატურობის ნორმა, რის გამოსასწორებლადაც მას ძალიან მოკლე დრო მიეცა.

მამუკა ხაზარაძემ სხდომის მონაწილეებს დაწვრილებით უამბო იმ ძალისხმევის შესახებ, რაც „თიბისი ბანკის“ მიერ ინვესტორების მოძიებას ეხებოდა, მათ შორის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან თანამშრომლობის მხრივ. აღნიშნა ისიც, რომ ამ პროცესებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა. მიუხედავად ამისა, 2009 წლის შემდეგ „თიბისი ბანკი“ მსოფლიო კატეგორიის ბანკების რიცხვში მოხვდა და შევიდა იმ 250 ყველაზე დიდი კომპანიის სიაში, რომლებიც ლონდონის საერთაშორისო ბირჟაზე ვაჭრობენ.

ბოლო პერიოდში განვითარებულ მოვლენებზე საუბრისას ბანკის დამფუძნებელმა განაცხადა, რომ ეროვნული ბანკი“, მისი პრეზიდენტის და ახლად არჩეული ვიცე-პრეზიდენტის სახით, მას და ბადრი ჯაფარიძეს, პრაქტიკულად, აშანტაჟებდა.

მამუკა ხაზარაძე: „მე სრულ უნდობლობას ვუცხადებ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის და მისი მოადგილის კომპეტენციას. არ ვიცი, მაქვს თუ არა ამის უფლება, ეს ალბათ, თქვენი, დეპუტატების გადასაწყვეტია, მაგრამ მე, როგორც მოქალაქეს და ამ ინდუსტრიაში 27 წლის მანძილზე ჩაფლულ ადამიანს, მინდა მისი პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს; არ ვიცი, მაქვს თუ არა ამის უფლება და როგორ არის პროცედურულად, მაგრამ მოვითხოვ, შეიქმნას სპეციალური კომისია, რომელსაც გავაცნობ ყველა დეტალს, წერილს და სხვა არაერთ ნიუანსს“.

კომიტეტის სხდომაზე „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ისაუბრა იმ წერილის შესახებ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ მიიღო და რომლითაც დაემუქრნენ:

„ერთ-ერთი ძალიან მაღალჩინოსნისგან მივიღე წერილი, სადაც პირდაპირი მუქარით გვითხრეს, რომ ისინი დაანგრევენ ჩვენს რეპუტაციას ადგილზე და საერთაშორისო ასპარეზზე. ეს წერილი მე მაქვს. მიკვირს, რომ ეს წერილი დაწერეს და სიტყვიერად არ გვითხრეს ეს ყველაფერი. იქ იყო მოთხოვნები, რომლებიც ძირითადად უკავშირდება საარჩევნო, წინასაარჩევნო თემებს“.

მოგვიანებით ხაზარაძემ დაა-

ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში იკვეთება ძალიან მაღალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობა უკანონო და სისხლისსამართლებრივი ქმედებებისთვის“, — განაცხადა საპარლამენტო უმცირესობის ლიდერმა, „ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ.— „ევროპული საქართველო“ ითხოვს პარლამენტში შეიქმნას დროებითი საგამოძიებო კომისია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურის მიერ „თიბისი ბანკის“ ათიწლისწინანდელი ოპერაციის შემოწმების კანონიერებას“. „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენლები პარლამენტში იბარებენ შინაგან საქმეთა მინისტრს, გიორგი გახარიას. იმავდროულად, მათ დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება საგამოძიებო კომისიის შექმნის მოთხოვნით.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარის განცხადებით კი, შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას გადადგომის საფუძველი უნდა გახდეს „თიბისი ბანკის“ აქციონერების განცხადება გახარიას მხრიდან შანტაჟის შესახებ. „ჩვენ ვხედავთ ხელისუფლების ძალადობას და დღევანდელი განხილვით ანაკლიის პროექტი შეიძლება ჩაიშალოს. ეს შემთხვევა იქნება ქვეყნის ინტერესების ღალატის ტოლფასი. ეროვნული ბანკი იმყოფებოდა მთავრობის შანტაჟის ქვეშ. ხაზარაძემაც თქვა, რომ მას აშანტაჟებდნენ“, — აღნიშნა გოცირიძემ.

მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ უპასუხეს დეპუტატთა შეკითხვებს.

ზუსტა, თუ ვისგან მიიღო მუქარის წერილი:

„აზრი არ აქვს დაველოდო კომისიას, რადგან ალბათ მალე ცნობილი გახდება საზოგადოებისთვის. წერილი მოწერილი იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისგან, გიორგი გახარიასგან. მე არ მინდა აღმოვჩნდე იმ სიტუაციაში, რომ წერილებით დავიწყო სირბილი მედიაში. ეს არის მუქარის წერილი, რაღაცის შესრულების საფასურად, რაც ჩვენ არ გავაკეთეთ და არც გავაკეთებთ“...

„დღეს საჯაროდ მოვისმინეთ სხდომა, რომელიც ოთხ საათს გაგრძელდა, კომიტეტის თავმჯდომარემ ირაკლი კოვზანაძემ შეაჯამა:

„ბატონ ხაზარაძესაც და ბატონ ჯაფარიძესაც ჰქონდათ შესაძლებლობა სრულად ეთქვათ, რისი თქმაც უნდოდათ. მათ ჰქონდათ განცდა, რომ პარლამენტში ამას ვერ შეძლებდნენ, მათ არ მოუსმენდნენ. მმართველმა პარტიამ მათ ამის შესაძლებლობა მისცა...

სხდომის დროს ბევრი რამ გაცხადდა, ბევრ რამეს პასუხი გაეცა. ვფიქრობ, კითხვები კიდევ უფრო მეტი გაჩნდა. რაც შეეხება ბატონ გახარიასთან მიმართებით გაკეთებულ განცხადებას, ჩემი შეფასებით, ის არის სერიოზული პროფესიონალი მინისტრი და, ვფიქრობ, ამ მიმართულებით ჩვენ უფრო მეტი სიცხადე გვჭირდება“...

ᲞᲠᲝᲙᲣᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ:

ორშაბათს, 4 მარტს გავრცელებულ განცხადებაში პროკურატურა უარყოფს „თიბისი ბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებლის, მ განცხადებას, რომლის მიხედვითაც, მან პროკურატურაში გამოკითხვისას მიუთითა, რომ შს მინისტრის გ მხრიდან მუქარის შემცველი წერილი მიიღო.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მ მოსამართლის წინაშე მოწმის სახით გამოიკითხა 2018 წლის 26 დეკემბერს. გამოკითხვისას ხაზარაძემ ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ეროვნული ბანკის ოფიციალურ წერილზე, მისი და ბადრი ჯაფარიძის მიერ თანამდებობის შესაძლო დატოვების შესახებ, რომელიც ხაზარაძემ მუქარად აღიქვა.

ᲐᲛᲝᲜᲐᲠᲘᲫᲘ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲝᲥᲛᲘᲓᲐᲜ:

„ჩემი ღრმა რწმენით, ღრმა რწმენით არა, ასე ვთქვათ, ვარაუდს გამოვთქვამ, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წერილი, რომ ჩვენ შეიძლება დავტოვოთ ჩვენი თანამდებობები და ასე დაჩქარებულად 11 წლის წინანდელი საქმის ყველა უწყებაში ფორსირება ემსახურება ერთ რამეს, ჩვენი იმიჯის საერთაშორისო შელახვას, რაც ავტომატურად გააჩერებს ანაკლიის პორტის დაფინანსებას. ამას ვაცხადებ მთელი კატეგორიულობით. მსგავსი წერილი მე მივიღე ამ მუქარით და როცა საჭირო იქნება მე ამ წერილს გავასაჯაროებ, თუ როგორ გვემუქრებიან სწორედ ესეთი სიტყვებით“.

„კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ მას არაფერი უთქვამს რაიმე წერილის თაობაზე შინაგან საქმეთა მინისტრის მხრიდან“, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲒᲐᲮᲐᲠᲘᲐ: **„წერილებს არ ვწერ, სათქმელს პირდაპირ ვეუბნები პირში ყველას.**

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ „თიბისი ბანკის“ დამფუძნებლის, მამუკა ხაზარაძის მიერ გაკეთებული იმ განცხადების პასუხად, რომ გიორგი გახარიასგან მუქარის წერილი მიიღო, განაცხადა:

„ეს იყო ერთი პრივილეგირებული ბიზნესმენის მცდელობა პარლამენტის ტრიბუნიდან ჭორაობით იმუნიტეტის მოპოვების. მე წერილებს არ ვწერ, სათქმელს პირდაპირ ვეუბნები პირში ყველას, მათ შორის იმ ხალხს, ვისთანაც საქმიანი ურთიერთობა მაქვს.

ბიზნესში პრივილეგირებულობა ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ უნდა დასრულდეს. შანტაჟის ენით საუბარი საერთო საჯარო პოლიტიკიდან უნდა გაქრეს და, მიუხედავად ამ შანტაჟის ენით საუბრისა, ყველას მოუწევს პასუხი აგოს როგორც თავის ვალდებულებებზე, ისე სიტყვებზე“.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“
ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ: ᲨᲞᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ „ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ“
ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲘᲡ 164;
ᲢᲔᲚ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
ᲠᲔᲒᲘᲡᲢ. №202375349; ᲣᲐᲙ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲘᲜᲪᲘᲠᲘᲗ. ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲐᲠ ᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ. ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ. ᲒᲐᲡᲐᲩᲘᲕᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲕᲘᲠᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲨᲘ. ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲣᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ.
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲨᲞᲡ „ᲐᲡᲐᲒᲐᲚ-ᲓᲐᲡᲐᲒᲐᲚᲘᲡ“ ᲡᲢᲐᲛᲑᲐᲨᲘ; ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲒᲚᲐᲫᲘᲡ 39
® ᲐᲛ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ.

დიდი ცვლილებების გაზაფხული დაიწყო!

● ბიძინა ივანიშვილს ქვეყანაში არსებული პრობლემების უსწრაფესად დაძლევის ზეამბიციური გეგმა აქვს

● ირაკლი ღარიბაშვილი „ქართულ ოცნებაში“ საკვანძო თანამდებობაზე ბრუნდება

● გაზაფხულზე, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, დიდი საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი

დიდი სამზადისი დიდი ცვლილებებისთვის — ასე შეიძლება შეფასდეს ის, რაც დღეს საქართველოში ხდება.

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილის მიერ დაანონსებული ძირეული ცვლილებების და სერიოზული რეფორმების განხორციელების ჟამი მოახლოვდა და ეს ჟამი, რიგირც ჩვენი რესპონდენტი გვიმტკიცებს, სულ მალე, გაზაფხულის ბოლომდე დადგება.

რესპონდენტი, რომელმაც თავისი ვინაობის გამჟღავნება არ ისურვა, სამთავრობო კულუარებში კარგად ჩახედული პირია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის უცნობ ბევრ საინტერესო ინფორმაციას ფლობს.

ბიძინა ივანიშვილი არ აპირებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში პოზიციების დათმობას, თუმცა მას ასევე ძალიან კარგად ესმის, რომ 2020 წელს იმ გუნდით, რომელსაც დღეს „ქართული ოცნება“ ჰქვია, გამარჯვების მიღწევა და მესამე ვადით ხელისუფლებაში დარჩენა თითქმის შეუძლებელია, ამიტომ ის ეცდება, ძირფესვიანად შეცვალოს და გადაახალისოს „ქართული ოცნების“ რიგები, მოიზიდოს ახალი კადრები ახალი იდეებით და ახალი ინიციატივებით, გადაახალისოს და უფრო მოქნილი გახადოს პარტიული სტრუქტურების მუშაობა, საკვანძო პოსტებზე დანიშნოს ახალი სახეები და ა. შ.

ბიძინა ივანიშვილი არ ამბობს, ოპონენტებმა ეს ინფორმაცია ბოლო დროს ბევრჯერ ვიცოდეთ, ეს ინფორმაცია,

ერთ საიდუმლოს გაგანდობთ: სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლა არ უნერია...

ინტერვიუ გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის სახელობის ეკლესიის წინამძღვართან მამა ბასილ მკალავიშვილთან

— მამაო, რას ფიქრობთ მიხეილ სააკაშვილზე, მის მომხრეებზე, კვლავ მოვლენ ნაცები ხელისუფლებაში?

— სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. ჩვენთან არს ღმერთი.

პირსისხლიანი სააკაშვილი ისეა შეყვარებული პრეზიდენტობაზე, ძილშიც კი ესიზმრება. დაძრწის სხვადასხვა ქვეყნებში და იქიდან გვემუქრება, ჩამოვალ და მოგივლითო. წარმოიდგინეთ, ეს შერეკილი მართავს იქიდან ნაციონალ-ლიბერალებს და ურევს ყოველივეს.

მინდა შევახსენო საზოგადოებას: 2003 წელს სახალხოდ ვაცხადებდი, რომ პრეზიდენტად მოდიოდა ეშმაკის მიმდევარი, ჯალათი. სამწუხაროდ, არავინ მისმინა. მხილებისთვის მე ხუთი წელი ციხეში გამომკეტეს. ერთ რამეს გეტყვით: არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, არის თუ არა უკრაინა საქართველოს მეგობარი ქვეყანა. გეკითხებით, როგორი მეგობარია, როცა საქართველოს და ხალხის მწამებელი ჯალათი სააკაშვილი ზარზეიმით მიიღეს თავის მიმდევრებთან ერთად, დაუპურეს, თანამდებობებიც უბოძეს. კომენტარი თქვენთვის მომინდვია. ჩემს ინტერვიუებში ყოველთვის აღვნიშნავდი, ნუ ენდობოდნენ მათ, მაგრამ ამაოდ.

ერთ საიდუმლოსაც გაგანდობთ: სააკაშვილს საქართველოში ჩამოსვლა არ უწერია. ის სუიციდით დაამთავრებს სიცოცხლეს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, რამეთუ 9 წელი ეშმაკს ემსახურებოდა და სულსაც მას მიჰყიდის. ეშმაკი სწორედ ახლა ბობოქრობს. საზღვარგარეთიდან თავსმოხვეულმა კოჰაბიტაციამ და მთავრობის უნიათობამ ისე გააძლიერა „ნაცმოძრაობა“, ფაქტობრივად, პარლამენტში უმრავლესობაში ისინი აღმოჩნდნენ. ფაქტი სახეზეა: ის 58 პარლამენტარი, რომელთაც უარი განაცხადეს საუკუნის ნიურნბერგის პროცესის მოწყობით სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის გასამართლებაზე, სააკაშვილის მეხოტბეები არიან. საქართველოს მოღალატენი არიან.

მე ბატონ ბიძინა ივანიშვილს თავიდანვე ვურჩევდი, არ დაეყენებინა გვერდით ისინი, ვინც ცნობილი იყვნენ უმსგავსო საქციელით. სწორედ ამ შენიღბულ მოღალატეთა მზაკვრული ქმედებებია დაქსაქსულობის მიზეზი, ერის გახლეჩის მიზეზი. ნებისმიერი თანამდებობის პირის — საეროა თუ სასულიერო, დასაყრდენი არის გარემოცვა. გარემოცვამ დაღუპა ბატონი ზვიად გამსახურდია. ამიტომ კადრების შერჩევის დროს დიდი სიფრთხილეა საჭირო. დღევანდელი გადასახედიდან ერთობა ისეა საჭირო, როგორც არასდროს. შემდეგი არჩევნები კარზეა მომდგარი...

— მამაო, როგორც ვიცით, ივნისში იგეგმება ლგბტ-თა კვირეული, მათი მსვლელობა თბილისის ქუჩებში. რას ფიქრობთ ამაზე?

— კარგად გვახსოვს პირველად ჩატარებული ლგბტ-თა აქცია 17 მაისს. სამშობლოსა და სარწმუნოების სიყვარულით გულანთებული ერი იცავდა თავის რწმენას, ზნეობას, ერის იდენტობას. განსაკუთრებით ახალგაზრდები. მიზანს მივაღწიეთ. არ შევაბილწინეთ მათ ჩვენი ქალაქი.

ვაფრთხილებ ხელისუფლებას, არ დაუშვან ისედაც აფორიაქებული ქალაქის წაბილწვა. ზნედაცემული, ეგზალტირებული ბრბო კარს მიღმა თავისუფალია. რაც შეეხება სახალხო მსვლელობას, ამას არ დაუშვებს მართლმადიდებელი ერი. რაც უფრო ეცდებიან გააქტიურებას, უფალი არ დააყოვნებს და მოგვაგებს სასჯელს. ეს ჩვენ უკვე ვიწვნიეთ. გავიხსენოთ ანაკლიაში კაზანტიპის ფესტივალის შემდეგ 13 ივნისი რა ტრაგიკულად დამთავრდა ჩვენთვის.

გირჩევთ, ნუ ცდით ხალხის მოთმინებას, რაც უნდა ეცადონ, ოცსაუკუნოვან რწმენას ვერ წაშლიან ქართველის ცნობიერებაში, ვერ ამოძირკვავენ ქვითკირით ჩადუღაბებულ რჯულს. შეიძლება გარკვეული ნაწილი მიაქციონ წარმართულ გზაზე, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლავ გამოჩნდება მსგავსი ამბროსი ხელაიასი, კირიონის, თევდორე მღვდლისა, ვახტანგის, არჩილის, ქეთევანის, შუშანიკის, ასი ათასი მოწამის და სიცოცხლის ფასად დაიცავენ წინაპართა მონაპოვარს.

მინდა შევეხო ტელეკომპანია „რუსთავი-2“ს, სადაც თითქმის ყოველდღიურად იკრიბებიან და პროპაგანდას ეწევიან საყურეებიანი მამაკაცები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნების მამათმავალთაგან ფინანსდებიან. ამ ქვეყნებს ჩვენს მიმართ რომ კეთილი სურვილები ამოძრავებდეთ, ყოფილ ჯალათს და სამართალდამცავთაგან ძებნილ პრეზიდენტს, რომელიც დაძრწის ქვეყნიდან ქვეყანაში, კი არ უნდა ასეირნებდნენ, არამედ უნდა იჭერდნენ და საქართველოში აგზავნიდნენ, რათა ჩადენილი დანაშაულებისთვის აგოს პასუხი, მაგრამ ნურაც უკაცრავად, აქაც და იქაც იმდენი თანამზრახველი ჰყავს, ერთად აწყობენ გეგმებს, რომ აურდაურიონ ყველაფერი. რამ დაგაბრმავათ, მატერიალისტებო, გრანტებზე ყიდით ქრისტეს რჯულს? სწორედ ეს ახარებს მართლმადიდებლობის უბოროტეს მტერს სოროსს და მის ლეკვებს ვაიქართველთა სახით.

ისმის კითხვა, რამდენჯერ უნდა გაუცრუოთ ხალხს იმედი? თქვენ ხომ მაგ თბილ სავარძლებში ხალხის მეშვეობით მოკალათდით? თქვენ ხომ საცოდავი, გაუბედურებული, ქუჩაში მდგომი ხალხის მონური შრომით იკვებებით, იღებთ კოლოსალურ ხელფასებს, დანამატებს, მოიწყვეთ უზრუნველი ცხოვრება, ფეშენებელური სახლები. ნუთუ არ დაფიქრებულხართ, რომ ხალხს შია, სცივა, წამალს ვერ ყიდულობს?

ახლა, თქვენი ნებართვით, კვლავ მივმართავ ბატონ ბიძინა ივანიშვილს: მართალია, თქვენ მოგვაშორეთ მონსტრი, გაუწონასწორებელი გიჟი სააკაშვილის სახით. მაგრამ ახლა გთხოვთ, მის მიერ დატოვებული, თქვენ გუნდში მოკალათებული კრიმინალი ნაციონალები განაშოროთ ხელისუფლების რგოლებს, რომ მაღალი ეშელონებიდან თითი და მუშტი არ გვიქნიონ.

დავით აღმაშენებლის მსგავსად, ვისი პრეროგატივაც არის, მოიწვიონ საუკუნის რუის-ურბნისის კრების მსგავსი კრება და გაწმინდონ ერი თუ ბერი უკეთურთაგან. ეს თქვენ ღმერთმა დაგაკისრათ.

ქვეყანა თავზე გვენგრევა. შეაჩერეთ მიგრაციის პროცესი. ჩვენი ხალხისთვის ვერ მოგვივლია. ახლა მაინც გაითვალისწინეთ ჩემი, როგორც სულიერი მოძღვრის რჩევა.

მე, მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, ჩვენი ერის საკეთილდღეოდ დავდე აგურები. შეგიძლიათ ინახულოთ გლდანში მდებარე გრანდიოზული ტაძარი — სულიერი სავანე, რომელიც შევქმენით მატერიალურად შეჭირვებულმა მართლმადიდებლებმა ჩვენივე შრომით. ღმერთს მინდობილი ადამიანი მთაზე ძლიერია, მას ვერავინ მოერევა.

ღმერთმა დაგლოცოთ!

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

აქა ამბავი ნეფხვიაურისა და კირკიტაურისა

პოლიტიკური ნოველა

ციხეში მეხივით გავარდა, ზვიად ნეფხვიაური მოიყვანესო. რომელი ნეფხვიაური, პანჩურზე რომ ჩასვეს, ის ხომ არაო? იკითხა დავით კირკიტაურმა და ძარღვებში სისხლი აუჩქროლდა. ჰო, სწორედაც ეგ არიო, "სვაბოდაზე" კუპრიაულად იცნობენ, შარშან რუსთაველის გამზირი რომ გადატენა ხალხით და მთელი დუნია შეაზანზარაო, მიუგო თანამესაკნემ კირკიტაურს და ერთი გემრიელად დააფცხიკინა. რკინის კარი ჭრიალით გაიღო. ზღურბლზე ზვიად ნეფხვიაური იდგა. მის მიღმა ბადრაგის მომღიმარი თავი მოსჩანდა.

— ბატონო ნეფხვიაურო, თუ შეიძლება, შებრძანდით საკანში... მალე თეთრეულს შემოგიტანენ, საჭმელსაც მოგართმევენ... ხიზილალა გიყვართ? — უთხრა გაოგნებულ ზვიადს ბადრაგმა.

— მაღადავებ, ტოოო? რა ხიზი-

ლალა, ვის გაუგონია ციხეში ხიზილალა და ასატრინა?! — დაიწყო ბლატაობა ნეფხვიაურმა.

— არა, როგორ გეკადრებათ... დღეს ხიზილალას მოგართმევენ, ასატრინა ხუთშაბათს იქნება, თევზის დღეა... არა, ქინძმარში მოხარშულ ლოქოსაც კი გაგასინჯებთ, მაგრამ მხოლოდ ზეგ. ისა და... ხიზილალას კარაქით ინებებთ თუ უკარაქოდ? — არ მოეშვა ბადრაგი.

— მოდი, ძმაო, მოდი, ეგ კაცი არ გატყუებს... აქ ფაქტობრივად კურორტზე ვართ, მაგრამ ხო იცი, ციხე მაინც ციხეა... აი, ზუსტად ჩვენზეა ნათქვამი, გალიაში ბულბულები ზიანო, — გაშალა ხელები კირკიტაურმა, ნეფხვიაურის ჩასახუტებლად მოემზადა.

თანამებრძოლები ერთმანეთს მხურვალედ გადაეხვივნენ. კამერაში მათ გარდა კიდევ ორი იყო, ერთი მაღალი, მეორე — დაბალი, ერთი ნაცი, მეორეც ნაცი. მათ თვალებზე ცრემლი მოადგათ და მოულოდნელად ასლუკუნდნენ — უყურებდნენ ამ გულისამაჩუყებელ სცენას და თავებს ვეღარ იკავებდნენ.

— ეჰ, ძმაო, კირკიტაურ, უფალმა ჭირის მდგმოიარობაში შეგვყარა, მაგრამ მე მტკიცად მჯერა, რომ ოლიგარქ გველეშაპს მალე დავამარცხებთ და იქმნება ნათელი, შენ არ იცი, როგორ განვიცადე შენი დაპატიმრება, ღამეები არ მეძინა! — ამოიღმუვლა ნეფხვიაურმა და ამ ღმუილს ლამის გული ამოაყოლა.

— ეგ კიდე არაფერი, ძმაო, ჩვენ სპეციალურად გვაჭმევენ ხიზილალას კარაქით, ლოქოს ქინძმარში, ასატრინას, მწვადს, ჩაქაფულს, ხაჭაპურსა და ხაშლამას, რათა ხმა არ ამოვიღოთ და არ ვამხილოთ ივანიშვილის ერთპიროვნული მმართველობა! — შევიდა ეშხში კირკიტაური.

— ეს არის ბოროტება... როგორ, მე აქ ხიზილალა ვჭამო და ჩემი შვილები კიდე ლობიოზე უნდა იყვნენ? ეს არის ბიძინა ივანიშვილის მეთოდი, აეგრე სტანჯავს პატიმრებს. მე ამას არ დავუშვებ, ძირს ხაშლამა, ჩაქაფული, ხიზილალა და ყველაფერი... ჩვენ დროს რო "ბალანდას" მიირთმევდნენ, რა, ცუდი იყო? თავს რო წელიწადში ერთხელ იბანდნენ, ცუდი იყო? როდესაც პატიმარს ტილი ახვევია, მას წნევაც დარეგულირებული აქვს და სისხლის მიმოქცევაც! — შევიდა ეშხში ნეფხვიაურიც.

— ჰო, ძმაო ნეფხვიაურ, მეც ძალიან განვიცადე შენი დაკავება, თუმცა ვერ დაგიმალავ... თან გამიხარდა, უახლოესი თანამებრძოლი გვერდით მეყოლები, ერთად ვიქნებით, შეიძლება გვირაბიც გავთხაროთ... ეგეც რომ არ იყოს, ჯოკერში ერთი კაცი გვაკლდა და აწი სრულყოფილად ვითამაშებთ! — მიუგო კირკიტაურმა და ცრემლით დასველებული თვალები "პლატოკით" შეიმშრალა.

— ეს რა დღეში ჰყოფილხარ, ბიჭო, სამი კაცით ჯოკრის თამაში როგორ შეიძლება? აი, როგორ აწამებს ოლიგარქი პატიმრებს, სულ ცოტაც და ის პასუხს აგებს ამ ყველაფერზე!

— დიახ, როდესაც პატიმარს ასე ექცევი, ეს არის მოსყიდვა!

— დარწმუნებული ვარ, ბადრაგიც ბალეტმაისტერივით იქცევა, აქამდე ისე მომიყვანეს, ერთი არ წამოურტყამთ... ბატონო, ბატონოო, სულ ასე მომმართავდნენ. მეთქი, მაშაყირებთ, თქვე ჩემისებო? არაო, არ გაშაყირებთ, დავალება გვაქვს ასეთი, არ უნდა წამოგარტყათ, თორემ დიდი სიამოვნებითო, გაიგე?!

ორნი ნაცნი გაშტერებულნი ისხდნენ და უსმენდნენ ამათ დიალოგს, თან იმაზე ფიქრობდნენ, ემანდ საწადელს არ მიაღწიონ და ხიზილალა "ბალანდით" არ შეაცვლევინონო, ძლივს ხეირიან საჭმელებს ვეღირსეთო.

— რულაც რომ გამაციმბიროს რუსმა ოლიგარქმა, მე მაინც გუბერნატორი ვარ, ის მე ვერ მომდრეკს, ვერ დამაჩმორებს! — განაგრძო კირკიტაურმა.

— ჰმ... მე კიდე შინაგან საქმეთა მინისტრი ვარ, მდიოს ეხლა კუდში პუტინის მონამ! — დაუკრა კვერი ნეფხვიაურმა.

— ეეჰ, ჩემო დავით, სხვათა შორის, წისქვილის ქვაც დატრიალდა ჩემ ნესვივით თავზე. იმედია, ამას შთამომავლობა არ დაივიწყებს და დიდ პატივს მომაგებს. შენი არ ვიცი და...

— მაგაში ეჭვი არ მეპარება... ჩემს ბიოგრაფიასაც შეიტანენ სასკოლო სახელმძღვანელოებში, ფაქტობრივად უკვე შეტანილია, უბრალოდ დროის ამბავია. ცოტა მენჯი მაწუხებს, თორემ სხვაფრივ მზად ვარ რუს ოლიგარქთან საომრად!

— მეც მიჩქეფს სისხლი ძარღვებში, ძმაო, ნახე, როგორ მაქვს დაბერილი ვენები, ორგანიზმში კიდე ყველაფერი მიფუის, ლამისაა, გადმოხეთქოს და გადმოვიდეს ეროვნული მოძრაობის სახით! — აღტყინდა ისევ ნეფხვიაური.

— ბატონო ნეფხვიაურო, ბამბის თეთრეულს ინებებთ თუ აბრეშუმისას? — შემოყო თავი "კარმუშკაში" ბადრაგმა, რომელსაც სახეზე ღიმილი დასთამაშებდა.

— რაო, აბრეშუმი თუ ბამბაო? — შეცბა ნეფხვიაური.

— დიახ, რომელს ინებებთ? — გაიმეორა ბადრაგმა.

— ეხლა ბიძინა ივანიშვილი ცდილობს, აბრეშუმით მომისყიდოს? ვერ ეღირსება, ბამბისა მომიტანეთ... ან სულაც ნუ მომიტანთ, ჩვენ დროს რო საერთოდ არ იყო და პატიმრები ფიცარზე იწვნენ, რა, პრეტენზიები ჰქონდათ? თეთრეული ვნებს როგორც სულს, ისე გონებას და სხეულსაც. ჰო, ჩვენ დროს სულ აშოლტილი პატიმრები გვყავდა, თანაც გაკაჟებულნი... ივანიშვილს უნდა, რო ფაფუკ თეთრეულში დავიძინო, უცებ გავცივდე და ტემპერატურა გამიუარესდეს? ვერ მიართვეს! — აღარ ცხრებოდა ნეფხვიაური.

— ძმაო, მე წავედი, გურჯაანში მასამართლებენ, ალბათ გამიშვებენ, ალალი კაცი ვარ, არაფერი ჩამიდენია, ავტობუსის ფანჯარაში რომ ძვრებოდა, ის მე არ ვიყავი, ჩემი ორეული იყო...

...საღამოს კირკიტაური ისევ დააბრუნეს კამერაში, თავი იმართლა, მოსამართლე კონდახიშვილმა ისევ პატიმრობაში დამტოვა, ამის დედაც ვატირეო. ისინი ხელახლა ჩაეფსკვნენ ერთმანეთს. იყო ცრემლთა დენა და მტლაშა-მტლუში.

— ძმაო, ვატყობ, ივანიშვილი აქ მიპირებს ჩასახლებასა... ჰოდა, რაკი ეგრეა, ცოლი უნდა მოვიყვანო, "ნასკებსა" და "ტრუსიკ-მაიკას" გარეცხვა ხო უნდა? არ მომწონს ამათი გარეცხილი, არა, ვერ შევეგუე! — ამოღერღა კირკიტაურმა.

— ცოლი? ვააა... ნამდვილი ქალი? კაი, რა, ბიჭო, ბიძინამ ისეთი არავინ შემოგიგდოს, მერე სანანებელი გაგიხდეს, ეხლა ცოლის მოყვანა იქნება?! — გაუმკაცრდა ფიზიონომია ნეფხვიაურს.

— არა, ძმაო, შეყვარებული ვარ, ჩემს გონებას ცეცხლი უკიდია, ჩემს გონებას ალმური ასდის, ვარვარებს!

— ესე იგი, ქორწილია?

— ჰო, ბიჭო, ქორწილია... ხიზილალა აგერაა, თევზეული და ხაშლამა არ გვაკლია, ბარემაც ვისარგებლებ შემთხვევით, რაღა გარეთ დავიხარჯო და ავიყარო? ადმინისტრაციის უმფროსმა მითხრა, ბეჭდებს ჩვენ გიყიდითო, შენი მარტო ხელმოწერა და სექსი იქნებაო, — დაიწყო თავის მართლება კირკიტაურმა.

— ვააა... მეც ხო არ მოვიყვანო ვინმე? ერთი ცოლი გარეთ დამრჩა, მაგრამ ციხეში ქორწილი ასწორებს... მოკლედ, უნდა მოვიფიქრო! — ხელი ჩაიქნია ნეფხვიაურმა და კირკიტაურს მგზნებარედ გადაეხვია.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

თუ სამართლიანი განაჩენი არ იქნა გამოტანილი, ლაშა გოგიას საქმე ბევრ ადამიანს შეიწირავს

განსაკუთრებით დიდი ოდენობის ქრთამის აღების ბრალდებით დაკავებული ზუგდიდის ყოფილი მერი ლაშა გოგია და ვიცე-მერი გია გულორდავა სასამართლომ პატიმრობაში დატოვა. პატიმრობაში რჩებიან ამ საქმესთან დაკავშირებით დაკავებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის უფროსი თენგიზ ქობალია, რომელსაც დანაშაულის შეუტყობინებლობა აქვს ბრალად წაყენებული და მოქალაქე ხუტა ბაღათურია. გამოძიება მას ცრუ ჩვენების მიცემას ედავება. ლაშა გოგიას ინტერესებს „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მშავანაძე იცავს.

ნიკოლოზ მშავანაძე: „ზუგდიდის მერის ლაშა გოგიასგან ბიზნესმენი ზურაბ კვირკვია ითხოვდა, რომ იჯარით, აუქციონის გარეშე, პირდაპირი წესით გადაეცათ ქალაქ ზუგდიდში მიწის ფართობები. კვირკვია რუსეთში ეწევა ბიზნესქმიანობას, ორი პასპორტი აქვს, რუსული პასპორტის მიხედვით გვარად ოგნევია, საქართველოში კვირკვიაა. ლაშა გოგიამ ოგნევ-კვირკვიას ეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა. კვირკვიამ მათი საუბრის აუდიოჩანაწერი გააკეთა, სადაც მათ შორის კორუფციულ გარიგებაზე კი არ არის საუბარი, კვირკვია ამბობს, რომ ფული ვიღაცას მისცა. მერე უთხრა გოგიას, რომ ეს საუბარი და მისი დაშანტაჟება დაიწყო. მიუხედავად ამისა, ლაშა გოგიამ მაინც არ გადასცა კვირკვიას მოთხოვნილი მიწა, ანუ არ შევიდა კორუფციულ გარიგებაში და მაინც დაიჭირეს ეს ადამიანი. ჩემი აზრით, ეს არის კლასიკური ნიმუში იმისა, წახალისების მაგივრად, როგორ სჯის ხელისუფლება საჯარო მოხელეს, რომელიც არ შევიდა კორუფციულ გარიგებაში, იგი ქრთამის აღებაში დაადანაშაულა და პასუხისგებაში მისცა. საუბარია 21.500 დოლარზე, რომელიც თურმე მოითხოვეს და აიღეს ლაშა გოგიამ და ვიცე-მერმა გია გულორდავამ, ამ დროს თვალით არავის უნახავს ეს ფული ვინმეს აეღო, საქმეში ამის დამამტკიცებელი რაიმე მტკიცებულება არ დევს. თქვენ წარმოიდგინეთ, სააკაშვილის მმართველობის დროსაც კი უფრო მაღალი სტანდარტი იყო კორუფციული დანაშაულების გამოვლენა-გამოძიებასთან დაკავშირებით, ვინმეს დაჭერა რომ უნდოდათ, ფულს დანომრავდნენ, გადაცემა ხდებოდა, რასაც ვიდეოკადრებით აფიქსირებდნენ. „ტელევარსკვლავად“ ქცეული სოსო თოფურიძე ლამის ყოველდღე გვამცნობდა, ვიღაც დავიჭირეთო და აჩვენებდნენ ფულის გადაცემის მომენტს. ახლა არც ფულის გადაცემა, არც რაიმე სხვა მტკიცებულება, თუ აუდიოჩანაწერს თვლიან ლაშა გოგიას საწინააღმდეგო მტკიცებულებად, აქაც კვირკვია ეუბნება გოგიას, რომ ვიცე-მერმა გულორდავამ აიღო ქრთამი, რაზეც გია ეუბნება, რომ თუ ვინმემ აიღო მისგან ფული, პასუხიც იმას მოსთხოვოს. საქმეში მხოლოდ ზურაბ კვირკვიას ჩვენება დევს, რომელიც სხვათა შორის, თავიდან ამბობდა ფული არავისთვის არ მიმიციაო. მოგვიანებით მისი დაცვის წევრი დააკავეს, ეტყობა ვიღაცას უნდოდა კვირკვია აელაპარაკებინა, ის ცვლის ჩვენებას და ამბობს, ფული მივეცი კონკრეტულ ჩინოვნიკებსო. რომელ ჩვენებას დავუჯეროთ, როდის ამბობდა კვირკვია სიმართლეს? სს-ის კოდექსში არსებობს მუხლი ცრუ ჩვენების მიცემის დასჯადობასთან დაკავშირებით, თუ ადამიანი ჩვენებას ცვლის, მას პასუხისგებაში აძლევენ. ეტყობა ეს მუხლი ბიზნესმენ კვირკვიაზე არ ვრცელდება.

ლაშა გოგია

გია გულორდავა

ედიშერ თოლორაია

უუკანონო თვალთვალი და მიყურადებაც დანაშაულია, კვირკვიამ კი ფარულად ჩაწერა ლაშა გოგიასა და თენგიზ ქობალიას საუბარი. სს-ის კოდექსში პირდაპირ არის გაწერილი, რომ უკანონო თვალთვალი და მიყურადება დასჯადია. ასე რომ, კვირკვიამ ფაქტობრივად რამდენიმე დანაშაული ჩაიდინა, მისცა ცრუ ჩვენება, სახეზეა უკანონო მიყურადება და თვალთვალი და ქრთამის მიცემა. კვირკვია ხომ ამტკიცებს, ქრთამი მივეციო, ამ შემთხვევაში ისჯება, როგორც ქრთამის ამღები, ისე ამ ქრთამის „გამღები“. ასე რომ, კვირკვია იქით არის დასაჭერი. საქმე იმაშია, რომ კვირკვიას უკან დგას საპარლამენტო უმრავლესობის წევრი, ზუგდიდის მაჟორიტარი ედიშერ თოლორაია, მას ჰქონდა გარკვეული ბიზნესინტერესები და არ აწყობდა ლაშა გოგიას ზუგდიდის მერის თანამდებობაზე ყოფნა. ეტყობა გოგია არ უკმაყოფილებდა თოლორაიას მოთხოვნებს მიწებსა თუ სხვა ქონებებთან დაკავშირებით და პროვოკაციის მიზნით შეუგზავნეს ზურაბ კვირკვია, მხოლოდ მისი ჩვენების საფუძველზეა დაკავებული ოთხი ადამიანი. გოგიას მოიშორებდნენ და გზაც გაეხსნებოდათ ეკონომიკურ ინტერესებთან დაკავშირებით. თოლორაიას ამ საქმესთან კავშირს ალბათ ისიც ადასტურებს, კვირკვიამ პირველი აუდიოჩანაწერი რომ გააკეთა, პოლიციაში ან პროკურატურაში კი არ წაიღო, ედიშერ თოლორაიას მიუტანა, გეგონება ეს მყავდა პროკურორი ან პოლიციის უფროსი. ამ კანონმდებელმა პერსონამ იმის მაგივრად, რომ პოლიციისა და პროკურატურისთვის მიემართა და მათთვის გადაეცა, „რუსთავი-2“-ის ოფისში გადაამისამართა.

— ედიშერ თოლორაიამ გადასცა ეს ვითომდა მაკომპრომატირებელი აუდიოჩანაწერები ნაციონალების რუპორ ტელევიზიას?

პირდაპირ არ ფიქსირდება, რომ უშუალოდ თოლორაიამ მიიტანა აუდიოჩანაწერები „რუსთავი-2“-ის ოფისში, ვიღაცები ფიგურირებენ, ვინც თითქოს მიიტანა, თან ძალიან კურიოზულ ისტორიებს ყვებიან, როგორ აღმოჩნდა ეს „კომპრომატები“ მათთან. გვარამიას კანტორა ცალკე იწონებს თავს, რომ თვითონ მოიპოვეს. ფაქტია, თოლორაიას ხელში რომ იყო, ამის მერე ხვდება აუდიოჩანაწერები ამ ტელევიზიის ოფისში, თან ზუსტად საპრეზიდენტო არჩევნების წინ აკეთებს თოლორაია ამას. ეს საქმე იმითაცაა უპრეცედენტო, რომ ადამიანები, რომლებიც წესით პასუხისგებაში უნდა მიეცათ, დღეს გამოდიან და ბევრს ლაპარაკობენ. ჩემი საადვოკატო პრაქტიკის მანძილზე მე ასეთი სუსტი საქმე არ მინახავს, ავადსახსენებელი ეჟოვისა და იაგოდას დროსაც კი არ იჭერდნენ ერთი კაცის ჩვენებით ვინმეს, თან ისეთი კაცის ჩვენებით, რომელიც დღეს ერთს ამბობს და ხვალ მეორეს. სასამართლო სხდომაზე შუამდგომლობა რომ დავაყენე, დაუშვებელ მტკიცებულებად ეცნოთ ხსენებული აუდიოჩანაწერი, მოსამართლე ეკატერინე გაბრიჩიძემ განაცხადა, ზურაბ კვირკვიამ თავდაცვის მიზნით გააკეთა ეს ჩანაწერიო და არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა. მოსამართლემ თავისი ქმედებით, ფაქტობრივად დაუშვა პრეცედენტი, რომ ადამიანებს შეუძლიათ უკანონოდ ჩაწერონ ხალხი და მერე თავი იმით იმართლონ, რომ თურმე თავს იცავდნენ. ეს არის სრული აბსურდი, გამოდის სასამართლომ მწვანე შუქი აუნთო უკანონობას ამ კონკრეტული კუთხით.

ლაშა გოგია რომ უდანაშაულოა ამ საქმეში, ბევრი ფაქტი მოწმობს. როდესაც გაჟღერდა ინფორმაცია ქრთამის აღებასთან დაკავშირებით, გამოძიების დაწყების შესახებ, იმ დროს ლაშა გოგია მივლინებით ჩეხეთში იმყოფებოდა. გოგიას დანაშაული რომ ჰქონოდა ჩადენილი, სულაც აღარ დაბრუნდებოდა საქართველოში, მაგრამ ჩამოვიდა და მეტიც, ადვოკატის გარეშე მივიდა საგამოძიებო ორგანოში ჩვენების მისაცემად. ეს საქმე ხელისუფლებიდან ძალიან ბევრ ადამიანს შეიწირავს, როგორც ჩანს ედიშერ თოლორაიამ ვიღაცები შეცდომაში შეიყვანა. ის პიარი, რომ ხელისუფლება ვითომ კორუფციას ებრძვის ამ ადამიანების დაჭერით, არაფერში გამოდგება. მთელმა ზუგდიდმა იცის რას წარმოადგენენ ზურაბ კვირკვია თუ ედიშერ თოლორაია.

გასარკვევია რამდენად სუფთა ბიზნესი აქვს ამ ორგვარა და ორპასპორტა „დაჩაგრულ“ ბიზნესმენს. აუდიოჩანაწერში კვირკვია თავის ბიზნესზე ამბობს, ტყვიების ქვეშ ვშოულობ ფულსო, ეს რას ნიშნავს? როგორც გავიგეთ, მას ლუგანსკსა და დონეცკში აქვს ბიზნესი, გარდა ამისა, აფხაზეთიდან ეზიდება აქეთ სიგარეტს, ანუ კონტრაბანდითაა დაკავებული. აი, ასეთი რეპუტაციის მქონე ადამიანის ჩვენებას იზიარებს გამოძიება და ზუგდიდის მერსა და მის მოადგილეს, რომლებზეც არავითარი მამხილებელი მასალა არ არის, სს-ის პასუხისგებაში აძლევს.

ლაშა გოგია ძალიან ბევრი ინფორმაციის მატარებელია, ვინმეს ხომ არ ჰგონია, რომ ის პირში წყალს ჩაიგუბებს და გაჩუმდება?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

თუ ზუგდიდში მერის არჩევნები „ნაციონალებმა“ მოიგეს, შეიძლება სამეგრელოში 90-იან წლების ახალი აჭარა გაჩნდეს

ზვიად კვაჭანტირაძემ განაცხადა, „მესიჯების პრაქტიკა“ 2016 წლიდან, ბოლო მოწვევის პარლამენტში დაინერგა და დღემდე არ იცის, ვინ იყო ამ მესიჯების ავტორი. ვინ დგას „საერთო ჩატის“ უკან და რატომ გახდა უმრავლესობის ნაწილისთვის 2016 წლიდან დანერგილი პრაქტიკა მიუღებელი სწორად ახლა? ამ კითხვებით პოლიტიკური პარტიების მკვლევარს ლევან ლორთქიფანიძეს მივმართეთ:

– ამ ამბავმა უფრო ცხადყო და მკაფიოდ გამოაჩინა როგორ ხდება გადაწყვეტილებების მიღება „ქართულ ოცნებაში“ ანუ არსებობს 5–6 კაცი, რომელიც ცალკე, ყველასთან შეუთანხმებლად თათბირობს, იღებს გადაწყვეტილებას და შემდეგ მთელ პარტიას,

115 კაცს ავალდებულებს, რომ ეს პოზიცია უაპელაციოდ, შეკითხვისა და წინააღმდეგობის გარეშე გაიზიარონ.

– ავალდებულებს რას ნიშნავს? ხომ შეუძლიათ, რომ არ გაიზიარონ?

– ვინც არ გაიზიარებს, ის მოღალატედ, ნაციონალად და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ წამსვლელ პირად ცხადდება და უმრავლესობიდან დევნიან. არ აძლევენ საშუალებას იყვნენ კომიტეტის თავმდომარეები, გადაჰყავთ სიმბოლურ თანამდებობებზე და ა.შ. შესაბამისად, თავმოყვარე ადამიანები, რომლებიც არ არიან თანახმა, რომ „ზემოდან“ მოსულ ბრძანებას უსიტყვოდ დაემორჩილონ, ნელ-ნელა ტოვებენ პარტიას.

– რატომ ახლა?

– თავიდან შეიძლება იტანდნენ ამ მდგომარეობას, მაგრამ ახლა ხვდებიან, რომ „ოცნება“ კრიზისშია, მისი ძალაუფლება ასე მკაფიო არ არის და ნელ-ნელა კიდე უფრო მეტი ადამიანი დატოვებს ჩაძირვის ნიშნების მქონე ხომალდს.

– თქვენი აზრით, სად არის უმრავლესობის შიგნით დაპირისპირების სათავე და მიზეზი?

– დაპირისპირების მიზეზი ისაა, რომ რამდენიმე ადამიანმა, რომელიც 2 წლის წინ არაფერს წარმოადგენდა და ელემენტალურად, არ „იგუგლებოდა“, პირამიდის წვერზე აღმოჩნდა და გადაწყვიტა, ყველა და ყველაფერი დაიმორჩილოს, ყველას ჭკუა ასწავლოს, ყველას მიუთითოს რა და როგორ უნდა გააკეთოს და სწორედ ეს იწვევს დაპირისპირებას. ბატონი ივანიშვილი თუ ამ უწარსულო ადამიანებზე აპირებს დაყრდნობას და უარს ამბობს იმ ადამიანებზე, რომლებმაც მასთან ერთად, ყველაზე მძიმე პერიოდში იბრძოლეს, ეს ძალიან ცუდად დასრულდება მისთვის.

– ცუდად დასრულებაში რას გულისხმობთ?

–მე ვერ ვხედავ 2020 წლისთვის რა უნდა გააკეთოს ივანიშვილმა ისეთი, რომ მოსახლეობამ ისევე გადაუგდოს მაშველი რგოლი, როგორც საპრეზიდენტო არჩევნებზე გადაუგდო. პირადად მეც გამოვედი და დავუჭირე მხარი ქალბატონ ზურაბიშვილს, რომ ნაციონალები არ დაბრუნებულიყვნენ. მაშინ „ქართული ოცნების“ წევრებმა პირობა მოგვცეს, რომ რადიკალურად შეიცვლებოდნენ უკეთესობისკენ, მაგრამ უკეთესობის ნაცვლად, მივიღეთ, რომ საბოლოო რეაბილიტაცია ხდება მოსამართლეების, რომლებიც უსამართლო გადაწყვეტილებებს იღებდნენ და მეორე მხრივ, ადამიანები, რომლებსაც არასდროს არაფრისთვის არ უბრძოლიათ, დღეს აბსოლუტური ძალაუფლების მოხვეჭას ცდილობენ. ამ დროს უკვე გადარჩენის რეცეპტი არ არსებობს.

– თქვენი აზრით, მოსამართლეების გამო ივანიშვილი საკუთარი პარტიის ერთიანობას დათმობს?

– აქ ორი ვარიანტია.. ბატონ ივანიშვილს რეალობის შეგრძნება დაკარგული აქვს. ის იზოლირებულად ცხოვრობს და ძირითადად, ფარისევლებისა და მლიქვნელების მიტანილ ინფორმაციას ეყრდნობა. მეორე ისაა, რომ სასამართლო სერიოზულ ძალაუფლებას ფლობს – ბიზნესში წილებს ანაწილებს და დავებს წყვეტს, ამიტომ კონტროლირებადი მოსამართლეები დიდი ძალაა.

– რამდენად შესაძლებელია, რომ განზეთქილებამ „ახლებშიც“ იჩინოს თავი?

– რა თქმა უნდა. ამ „ახლებშია“ ლევან კობერიძე, რომელიც ყველამ კარგად იცის, რომ კვირიკაშვილის კადრია. მას შემდეგ, რაც კვირიკაშვილი ამ ბრძოლიდან „გაწიეს“, ლევან კობერიძე მარტო, მხარდაჭერის გარეშე დარჩა და ახლებშიც ვერ იპოვა თავისი ადგილი. დანარჩენები: ერთმანეთს ბიოგრაფიებით ძალიან გვანან – ყოველთვის საკუთარ კეთილდღეობაზე და კარიერაზე მზრუნველი კომფორმისტები იყვნენ, რეჟიმის წინააღმდეგ არასდროს უბრძოლიათ და წინა რეჟიმის დროსაც კომფორტულად გრძნობდნენ თავს და ახლაც მშვენივრად არიან. ჩემთვის გაუგებარია, როგორ შეიძლება ასეთ ადამიანებზე დაყრდნობა. ეს ქვიშაზე სასახლის აგებას ჰგავს, რომელიც ძალიან მალე თავზე დაგემხობა იმიტომ, რომ ამ ადამიანებს არც ეთიკური და არც პოლიტიკური სიმყარე არ გააჩნიათ.

– დღეს ბევრი აღნიშნავს, რომ კოალიცია, რომლითაც „ოცნება“ ხელისუფლებაში მოვიდა, გაცილებით მყარი იყო და პრობლემები გუნდში„ახალი სახეების“ გამოჩენის შემდეგ დაიწყო.

– ბუნებრივია, ძველი კოალიცია უფრო მიმზიდველი იყო იმიტომ, რომ მრავალფეროვნება ჰქონდა და შიდა დისკურსია არსებობდა. იმ კოალიციაში ნამდვილი პოლიტიკოსები იყვნენ, მაგალითად ბატონი უსუფაშვილი და სხვები, დღეს კი დარჩნენ ადამიანები, რომლებიც უბრალოდ, ერთმანეთს ჰგვანან. ბატონ ივანიშვილს ახალი სისხლი რომ სჭირდებოდეს, ჩვენს ქვეყანაში უამრავი პატრიოტია, რომელსაც შეუძლია ქვეყნის სამსახურში ჩადგეს, მაგრამ მათ არ სჭირდებათ არც საქმის გამკეთებლები და არც განსხვავებული აზრის მქონენი. მათი პრიორიტეტია, რომ უსიტყვო შემსრულებლები ჰყავდეთ. შეიძლება ასეთი გუნდით რამდენიმე კანონი გაიტანონ, მაგრამ გრძელვადიან პროექტში შორს ვერ წავლენ.

– პირდაპირ გკითხავთ – არსებობს თუ არა „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნების საფრთხე?

– ამ მიმართულებით ჩვენს ქვეყანას ძალიან დიდი საფრთხე ემუქრება. შეიძლება ნაციონალები ხელისუფლებაში მარტო ვერ დაბრუნდნენ, მაგრამ მათი რეაბილიტაცია რომელიღაცა მესამე პარტიასთან კოალიციით მოხდეს და ამ კოალიციის საფუძველზე, ძალაუფლების დიდი ნაწილი ხელში ჩაიგდონ. მე მაგალითად, იმისიც მეშინია, რომ 90-იანი წლების მეორე ნახევარი არ დაბრუნდეს საქართველოში, როდესაც აჭარა მთლიანად გასული იყო ცენტრალური ხელისუფლების ზემოქმედებისგან. თუ ზუგდიდში მერის არჩევნები ნაციონალებმა მოიგეს, შეიძლება სამეგრელოში 90-იანი წლების ახალი აჭარა მივიღოთ. შეიძლება შუა სამეგრელოში შექმნან ანკლავი, სადაც ეყოლებათ თავიანთი მერია, თავიანთი სამსახურები. ნიკა მელია რომ ზუგდიდის მერი გახდეს. ზუგდიდის საკრებულოში ნაციონალები არიან, ზუგდიდის თითქმის ყველა სამსახურის უფროსი ნაციონალია, რაღაც გრანტებს მოიპოვებენ, რაღაც პროექტებს განახორციელებენ და შექმნიან პლაცდარმს, რომ 2020 წლის არჩევნებზე ძალიან სერიოზულად იბრძოლონ. ჩვენს რეალობაში ძალიან სწრაფად იცვლება ყველაფერი და მე მაქვს ამ მოცემულობის სწრაფად შეცვლის იმედი, რომ ერთმა და მეორე ძალამაც რაც მალე გამოჩნდეს მესამე ძალა, რომელსაც ხალხი ენდობა და მხარს დაუჭერს.

ნელი თორდია
571 35 36 88

როგორ შეიძლება ქვეყანა ნატოსკენ მიისწრაფოდეს და იმავე დროს ეკონომიკურად რუსეთზე, ანუ მის ოკუპანტზე იყოს მიბმული?

გვესაუბრება ექსპერტი დაუფლებადამცველი დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ბატონო დიმა, აბაშიძე-კარასინის ფორმატი ოპოზიციამ ქვეყნისთვის საზიანო, დამღუპველ პროცესად შეაფასა. როგორია თქვენი მოსაზრება ამ საკითხზე?

— პირველ რიგში, მინდა, აბაშიძე-კარასინის ფორმატის მიმართ ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო. ჩვენ, მოგვწონს თუ არა, ეს არის ერთადერთი ხელშესახები გარემოება, რომელიც მაღალი პოლიტიკის დონეზე რუსულ-ქართულ ურთიერთობებთან არის დაკავშირებული. რუსეთსა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდგომ აღარ არსებობს. ჟენევისა და პრაღის ფორმატები, რომელშიც აბაშიძე და კარასინი მონაწილეობენ ერთგვარი ძაფია, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება გაწყდეს. მიუხედავად ამისა, მინდა აბაშიძეს დიდი

მადლობა მოვახსენო მუხლჩაუხრელი შრომისთვის. კრიტიკა ადვილია, მაგრამ სამუშაო საკმაოდ რთულია, რადგან მისი მთავარი მისია პროცესის შენარჩუნებაა. აქედან გამომდინარე, ამ ფორმატს, რა თქმა უნდა, აზრი აქვს. მეორე მხრივ, „რუსთავი2"-მა თავის სტილში გააბუქა ინფორმაცია, კარასინის მოსაზრება კონტექსტიდან ამოიღო. სრული ინტერვიუ რადიო „თავისუფლებაზე" გამოქვეყნდა და ბატონ გვარამიას შეუძლია გაეცნოს. „რუსთავი2"-ის გენერალური დირექტორის მცდელობა მოახდინოს კარასინის პოზიციის დრამატიზება, რეალობას ნამდვილად არ შეესაბამება. კარასინმა თქვა: ერთი მხრივ, საქართველო, ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთის ფედერაციაზე არის დამოკიდებულია, ხოლო მეორე მხრივ, პოლიტიკურად — დასავლეთზეო. ეს, ასეც არის. საქართველოსთან მიმართებით რუსეთის მხრიდან ეკონომიკური გავლენები ყოველწლიურად იზრდება. კერძოდ, სავაჭრო ეკონომიკური ბრუნვა უკვე მილიარდ ორას მილიონს აჭარბებს. ტურისტების რიცხვის ოდენობის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია, პირველ ადგილზეა — 20018 წლის მდგომარეობით საქართველოში მილიონ ნახევარი ტურისტი შემოვიდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთი კვლავ ლიდერ ქვეყნად რჩება საქართველოში ფულადი გზავნილების მოცულობის კუთხითაც. ასევე, არსებობს მთელი რიგი სტრატეგიული მიმართულებები: ყველაზე დიდი, მსხვილგადამხდელი საწარმოები როგორებიც არის მაგალითად, ოქროს მომპოვებლური წარმოება საქართველოში, აზოტი, ენერგოგენერაციის ობიექტები, რამოდენიმე მსხვილი ღვინის ქარხანა მთლიანად, 100%-ით რუსულ კაპიტალზე დამოკიდებული.

რამდენად სწორი პოლიტიკის შედეგია ყოველივე, ეს სხვა საკითხია. ამაზე ვიმსჯელოთ: როგორ შეიძლება ქვეყანას ერთი მხრივ, გეზი ნატოსა და ევროკავშირისკენ ჰქონდეს, ხოლო მეორე მხრივ, თავისი ეკონომიკური პოტენციალით დიდწილად იყოს დამოკიდებული რუსეთის ფედერაციაზე, რომელიც მისი ოკუპანტია.

— ბატონო დიმა, კარასინმა გვითხრა, რომ ორი არჩევანი გვაქვს — ან ნატო, ან რუსეთი. რას ირჩევს ქართველი ხალხი?

— დიახ, კარასინის გზავნილში ნამდვილად იყო ასეთი შეუფარავი ნათქვამი: საქართველომ უნდა აირჩიოს სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში — ნატოში გაწევრიანდება თუ ამიერკავკასიაში კეთილდღეობას დაუჭერს მხარს. ამ კეთილდღეობაში, თუ იგულისხმება რუსეთსა და საქართველოს შორის უვიზო რეჟიმის შემოღებასთან დაკავშირებით მზარდი დინამიკა, მედიატორობა ჩინეთის ბაზართან ურთიერთობის კუთხით, სადაც რუსეთს უკვე საკუთარი გამოცდილება აქვს, ეს მისასალმებელია. მზარდი კეთილდღეობა სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, პირველ რიგში, ჩემი აზრით, დაკავშირებული უნდა იყოს იმ ბარიერის მოხსნასთან, რასაც სავიზო რეჟიმი ჰქვია. ეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური ბერკეტია ქართული მოსახლეობის განსაკუთრებით იმ ნაწილისთვის, რომელიც სოფლის მეურნეობის პროდუქციაზეა დამოკიდებული. მეორე მხრივ, აქცენტი კეთდება, საგზაო ინფრასტრუქტურის პერსპექტივებზეც. დაღესტნიდან კახეთის მიმართულებით მშენებარე გზის ძალიან მცირე მონაკვეთი დარჩა გასაკეთებელი, შედეგად: დაღესტანსა და კახეთს შორის გზა შეერთდება, რაც კახეთის მოსახლეობას შესაძლებლობას მისცემს პროდუქცია — ყურძენი, ატმი გაიტანონ, რაც აზერბაიჯანელებს და სომხებს თავისი ბრენდირებით გააქვთ საქართველოდან, რაც ჩვენი ბიუჯეტისთვის მნიშვნელოვანი დანაკლისია. კახელი ბიზნესმენი, რომელიც სავიზო რეჟიმიდან გამომდინარე სავაჭრო პრეფერენციებით თავად ვერ სარგებლობს, სავაჭრო ურთიერთობებში მონაწილეობას ვერ იღებს და იძულებულია პროდუქტი მეოთხედ ფასში იმ ბიზნესმენს მიჰყიდოს, რომელსაც შემდგომში საბაზრო ღირებულების ადეკვატურ ფასში გააქვს პროდუქტი რუსეთის ფედერაციაში. ეს იმ შესაძლებლობების მცირე ნაწილია, რაც შეიძლება განვითარებულიყო სავაჭრო-ეკონომიკური ბალანსის გაზრდის კუთხით რუსეთის ფედერაციასთან და ამავე დროს, ოკუპირებულ ტერიტორიებზე დარჩენილ საქართველოს მოქალაქეებთან ურთიერთობაშიც, ვგულისხმობ, როგორც აფხაზებს, ისე ოსებს.

შედეგი ასეთი გვაქვს: პოლიტიკური დეკლარირების კუთხით დასავლეთთან ურთიერთობას ვირჩევთ და ამ დროს, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის კუთხით, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მიბმული ვართ რუსეთზე. ეს ყოველივე იწვევს თუ არა კავკასიური ცარცის ახალი წრის წარმოქმნას და არის თუ არა საქართველო მიშიკოს როლში, ამაზე თავად მკითხველმა იმსჯელოს.

ეს საშინელი პროცესია, რომელიც ქვეყნის მოსახლეობის სრული ანიჰილაციით, ანუ გაქრობით, გადაგვარებით, გადაჯიშებით დამთავრდება. დიდი ხანია ქვეყანაში გაღატაკებისა და განდევნის პოლიტიკა მიმდინარეობს. ბევრი თანამემამულე უკანშემოუსვლელად ტოვებს ქვეყანას. სამაგიეროდ, კვლავ და კვლავ შემოდიან უცხოელი მოქალაქეები ყველა კუთხიდან.

— ბატონო დიმა, როგორც ვიცი თქვენ მიგრაციის პრობლემით სერიოზულად ხართ დაინტერესებული და გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავ ამ კუთხით. ამჟერად, რა ეტაპზე ხართ?

— დიახ, მე და ჩემმა მეგობრებმა: გურამ ქართველიშვილმა, ალექსანდრე ფალავანდიშვილმა და ლევან ჩაჩუამ მიგრაციული პოლიტიკის გადახედვისკენ მიმართული კამპანია დავიწყეთ. სერიოზული რეაგირება მოვახდინეთ საკითხზე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის გვერდის ავლით განხორციელდა. ნებისმიერი პირი ვინც ამ პროცესებს აღუდგება, მათივე რუპორის პირით, როგორც ქსენოფობი და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მოწინააღმდეგე, ისე გამოცხადდება. როგორც ჩანს, ევროკავშირში ინტეგრაციის პოლიტიკური ფასი ჩვენი გადაჯიშების პროცესზე გადის, რასაც არ დავუშვებთ. ეს ღუპავს ქვეყანას. ჩვენ ამ ლიბერალურ პარადიგმას დავუპირისპირებთ ქართულ ლოგოსს, ქართულ ეროვნულ ინტერესს. ნელ-ნელა მივყვებით დასახულ ამოცანას. მოვივლით სრულიად საქართველოს, შემდეგ აქციას გავმართავთ თბილისში, სადაც ყველას მოვუწოდებთ: საყოველთაო ეროვნული რეზოლუცია მივიღოთ.

— მარტში, ნატოს წვრთნები უნდა გაიმართოს. რა ხიფათია მოსალოდნელი ამ შემთხვევაში?

— საქართველოსთვის მშვიდობა უალტერნატივო არჩევანია. ჩვენი სტაბილურობისთვის, განვითარებისთვის, ეკონომიკურად ფეხზე დადგომისთვის ერთადერთი მოცემულობა რაც უნდა განიხილებოდეს, ესაა ქვეყანაში მშვიდობა. რამდენად ქმნის ნატოს მიერ საქართველოში ჩასატარებელი მოსალოდნელი წვრთნები მშვიდობის გარანტიას ქვეყანაში? — კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს პირიქით, რუსეთთან მიმართებაში, ძალიან ძაბავს სიტუაციას. მთელი ყურადღება ნატოს უპრეცედენტოდ ფართომასშტაბური წვრთნების ფაქტორზეა გადმოტანილი, რაც დესტაბილიზაციასთან არის გაიგივებული.

საქართველო არ უნდა იყოს ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პოლიგონი. ნებისმიერი პროვოკაცია, პირველ რიგში, მკაცრად უნდა შეფასდეს ქართული საზოგადოების მხრიდან.

— რაც შეეხება ანაკლიის პორტს, დაიწყო საუბრები იმაზე, რომ რუსეთს ანაკლიაში ღრმაწყლოვანი პორტის აშენება არ აწყობს.

— ბუნებრივია, კონფლიქტის პირობებში, ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა არ არის დაკავშირებული მხოლოდ მშვიდობიანი ნაოსნობის პროცესთან. რუსეთის ადგილას ვინც არ უნდა ყოფილიყო — ბრიტანეთი, ჩინეთი თუ აშშ, მათ ხელმძღვანელობასაც ექნებოდა დასაბუთებული და ლოგიკური მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა კონფლიქტის ზონაში მიუღებელია. იმის მტკიცება, რომ ამ პროცესში მაინცდამაინც რუსეთის ხელი ურევია, ვფიქრობ, ეს უფრო ჰიპოთეზაა. რომ ჩვენ



10 გვ. →

აირჩიეთ სამში ერთი – გინდათ, დარჩით! გინდათ წადით! გინდათ გაირიცხებით!

სასაცილოდან სასატირლომდე

ამ სტატიას ცხელ გულზე ვწერ... დიახ, მას შემდეგ ვწერ, რაც ქალბატონი **ნინო ბურჯანაძე** სააკაშვილ-უგულავა-ვაშაძე-ბოკერიას ბინძურ მაგიდას მიუჯდა და მათთან ერთად გამოაცხადა: ყველა მინუს ერთიო. ჰო, ჩვენ ყველა და მინუს ბიძინა ივანიშვილიო. ამათ თავიანთი თავი ყველა ჰგონიათ. ამაზე მეცინება, ვხარხარებ!

როდესაც **დავით უსუფაშვილი** მიეთრა ფარისეველთა შტაბში, არც გამკვირვებია და არც ხმა ამომიღია. ამ "ბასტი-ბუბუს" ძარღვებში აქვს გამჯდარი ღალატი, სუნზე დადის და ამას პოლიტიკას ეძახის. როდესაც სხვები მიეთრნენ, არაფერი ვთქვი, ეგ მათი ხელობაა, ეგენიც სუნზე დადიან. მათ უკან სიცარიელეა. სიმართლე გითხრათ, არც ბურჯანაძეზე მაქვს დიდი წარმოდგენა, მაგრამ როცა მის უკან 26 მაისია, როცა ქვეყნის დარბევაა, როცა სისხლისღვრაა,

სად მიდის, ვისთან ჯდება, ვისთან კეკლუცობს? ვისთან და მიხეილ სააკაშვილის მართულ ხროვასთან. ადრეც დავწერე, ახლა გავიმეორებ და ალბათ მომავალშიც დავწერ: 2012-ში, გაგანია ზაფხულში და პოლიტიკურად აზარტულ პერიოდში ერთმა პატივსაცემმა კაცმა მითხრა, მაგ ქალს არ ვენდობი, სააკაშვილთან არის შეკრულიო. მე კიკინები გავიშალე, რას ლაპარაკობთ, შანსი არ არი, 26-მა მაისმა მაგის კისერზე გადაიარა-მეთქი. გაეცინა. არ მჯერა-მეთქი. კაი, მაშინ ერთ შეკითხვას დაგისვამო – ბურჯანაძის ქმარი 25 მაისის ღამეს ვინ გააპარა თბილისიდანო? მე რა ვიცი-მეთქი? ჰოდა, რომ არ იცი, გაჩუმდი, მიშას გარეშე აქედან ვერავინ გავიდოდაო. გავჩუმდი, მაგრამ მაინც ვერ დავიჯერე და აჰა... ახლა ვეუბნები აქედან ამ კაცს: მაგარი ხარ, რაც მაშინ მითხარი (სხვა რაღაცებიც), ყველაფერი სიმართლე აღმოჩნდა. ბოდიშს ვიხდი, რომ არ მჯეროდა და რაღაც-რაღაცებზე ქოშს უკუღმა ვყრიდი.

გინდათ, ბოლომდე გავხსნა კარტი? ეს კაცი გახლავთ **ბიძინა ივანიშვილი**.

როცა მისი ეს ფრაზა ერთ-ერთ გაზეთში გამოვაქვეყნე, ქალბატონმა ნინომ კიკინები გაიშალა და კედლებზე დაიწყო სიარული. თან კითხულობდა, რა უნდა მაგ კაცს ჩემგანო?! აგერ, გავიდა შვიდი წელიწადი და მიუჯდა ესეც ფარისევლებს. თან აცხადებს, არაო, მე ფარისეველი არ გახლავართ, ამათთან დროებით ვჯდები, საარჩევნო კოდექსი უნდა შევცვალო, მინდა, არჩევნები პროპორციულად ჩატარდესო. ქალო, გინდა პროპორციულად ჩატარდეს, გინდა – ჰორიზონტალურად, გინდა – ვერტიკალურად, პარტიაში აღარავინ დაგრჩა, სიაში ვინ უნდა ჩაწერო? ეს ერთი და მეორეც – "ყველა მინუს" ერთი რომელ პროპორციაში ჯდება?!

და მაინც... რის მიღწევას ცდილობს ქალბატონი ბურჯანაძე, თუკი ის მყარად გადაეფსკვნება ე.წ. გაერთიანებულ ოპოზიციას, ანუ ვითომ 26 პარტიას? რასაკვირველია, ის ცდილობს, როგორმე მოხვდეს პარლამენტში და ოცნებობს ფრაქციაზეც, რათა ჰქონდეს დამატებითი დაფინანსება, მაგრამ ჯერ ერთი, სააკაშვილის მიერ მართულ ე.წ. ოპოზიციასთან მიცუცქების გამო 26 მაისს დაზარალებულები გაუნაწყენდებიან, გაუბრაზდებიან და მიატოვებენ, მეორეც – მაჭუტაძეები, ქარდავები და დავითაიები არ არიან იმ ბაგაჟისანი, რომ მათთან ალიანსით ფონს გავიდეს. ჩემი აზრით, ქალბატონმა ბურჯანაძემ ბევრჯერ გაუშვა პარლამენტში შესვლის შანსი ხელიდან და ვერც კი ხვდება, რომ მისმა მატარებელმა კარგახანია ჩაირბინა. რომც არ ჩაერბინა, რომც არ იყოს ბურჯანაძის უკან 26 მაისი, ის იმ ფარისეველთა მაგიდას მიუჯდა, რომელთაც მომავალი არ აქვთ. როგორც ვხედავთ, ლიანდაგიდან გადასული ე.წ. ქართული პოლიტიკა ლოგიკაში საერთოდ ველარ ჯდება – აბა, სად რუსეთუმე "ბურჯიკნელი", სად "ევროპელი" (ბიუჯეტის ვირთხა) უგულავა, სად "პროდასავლელი" (ლაქლაქა) უსუფაშვილი, სად ჯოჯოხეთის მოციქული ბოკერია და სად კედელზე თავმირტყმული მაჭუტაძე? სხვა დეფექტიანების ჩამოთვლა მეზარება, თქვენ ჩემზე უკეთესად იცით. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ესენი ერთმანეთს ვერ იტანენ, ერთმანეთს ახლოს არ ეკარებიან, ბურჯანაძესთან სიახლოვისა რცხვენიათ, რუსეთუმეა და ამიტომ, თვითონ დასავლურ ღირებულებებზე არიან აღზრდილნი. მაგალითად, ბაჩუკი ქარდავა რუსეთში კი არ დაწანწალებდა, კემბრიჯში მიიღო განათლება და ახლა ცდილობს, ჩვენც გვიხსნას პუტინის კლანჭებიდან. ამით იმის თქმა მინდა, მეგობრებო, რომ ვითომ 26 პარტია – ეს გახლავთ ხროვა... თვალებანთებული ხროვა, რომელიც მზადაა, ეცეს ბიძინა ივანიშვილს და გაგლიჯოს, ნაფლეთებად აქციოს!

ეს კინო ჩვენ ნანახი გვაქვს, სტილიც ნაცნობია, გეგმაც, ხელწერაც და შინაარსიც – არაფერი ახალი, არაფერი ორიგინალური. **თქვენი არ ვიცი და... მე ძალიან დამაფიქრა პოეტ დავით მაღრაძის გამოსვლამ ტელევიზიით, რომელმაც განაცხადა, უახლოეს ხანში "სახალხო ფრონტის" მსგავსი ორგანიზაცია უნდა შევქმნათო**. ვის წინააღმდეგ აპირებს "ფრონტის" შექმნას? ივანიშვილის წინააღმდეგ! კი, მაგრამ მაღრაძე ხომ მეგობრობდა ბიძინასთან, საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურშიც ხომ თავი გაიგიჟა, რეგიონებში დადიოდა და სალომე ზურაბიშვილის მხარდასაჭერად აქციებსაც მართავდა? მაშ რა დაეტაკა, რატომ ჩაიხვია მოსამართლეების თემა? აქვე ჩნდება კითხვა: რატომ აიკრეს გუდა-ნაბადი საპარლამენტო უმრავლესობის იმ წევრებმა, რომლებიც

სულ ცოტა ხნის წინ ბიძინა ივანიშვილთან მიახლოებასაც კი დიდ ბედნიერებად თვლიდნენ? რატომ გადგნენ განზე ე.წ. ძველი გვარდიის დეპუტატები, რომლებიც მუდმივად ივანიშვილთან მისასვლელ გზებს ეძებდნენ და მის ფეხებთან წამოწოლას ლამობდნენ? უკაცრავად, ყველას არ ვგულისხმობ, მაგრამ ეს ასე იყო – ბევრი ბატონ ბიძინასთან სურათის გადაღებას იმიტომ ლამობდა, რომ დანარჩენი სამყაროსთვის თავისი უპირატესობა დაემტკიცებინა. მაშ რა მოხდა, რა ბზიკმა უკბინა ამდენ "მამულიშვილს"? მოსამართლეების სიამ გააღვიძა მათში პატრიოტული გრძნობები? მაპატიეთ, მე პირადად ამ გრძნობებისა არ მჯერა, უფრო სხვა მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე. მოდით, დავიწყებ ცოტა შორიდან: მაგალითად, როცა "ქართული ოცნება" ხელისუფლებაში მოვიდა, პირველივე თვეებში გასაგებად ითქვა, რომ მმართველი ძალა მოსამართლეთა კორპუსს არ შეეხებოდა, გარკვეული დროის განმავლობაში უნდა მომხდარიყო თვითგამორკვევის პროცესი და ე.წ. რეფორმების წყალობით, სასამართლო უნდა გამხდარიყო სრულიად დამოუკიდებელი. ეს გახლდათ არა მხოლოდ ახალი ხელისუფლების სურვილი, არამედ ჩვენი ევროპელი და ამერიკელი მეგობრების მოთხოვნაც. ალბათ გახსოვთ, ბიძინა ივანიშვილმა თავის ბოლო ინტერვიუში გულახდილად თქვა, დაახლოებით ხუთი წელიწადი დაგვჭირდა, ჩვენი პარტნიორებისთვის დაგვემტკიცებინა, რომ არ ვაპირებდით ქვეყანაში ანგარიშსწორებასო, ანუ ეს დრო დასჭირდა ნდობის მოპოვებასო. ბოლო დროის პერიპეტიებს თუ გადავხედავთ და დავაკვირდებით, როგორი მისვლა-მოსვლა, სტუმრიანობა და ოფიციალური ვიზიტებია გაჩაღებული, აშკარად ჩანს, რომ ნდობა მოპოვებულია, რაც ძალიან აღიზიანებთ მაჭუტაძეებში. ჰოდა, მოდით, კიდევ ერთხელ ჩავეკითხოთ საკუთარ თავებს, რა მოხდა ასეთი, რატომ შეკრეს პირი ე.წ. შინაურებმა და გარეულებმა, რატომ გახდა ბიძინა ივანიშვილი მათთვის მიუღებელი, რატომ გახდა "ყველა მინუს ერთი"? გარეულებს რომ თავიანთი ავი ზრახვები ამოძრავებთ 2012 წლიდან მოყოლებული, ეს გასაგებია და ვიცით, მაგრამ რა დაემართათ ე.წ. შინაურებს, რატომ გაახსენდათ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების მოახლოებისას, რომ ადამიანები, რომლებიც 7 წლის განმავლობაში მოსამართლეობდნენ და ზოგიერთი მათგანი უვადოდაც კი დაინიშნა (მაგალითად, ლევან მურუსიძე), თურმე მიუღებელნი ყოფილან? **მაქვს ინფორმაცია, რომ ჯგუფი, რომელმაც ფართო ფრონტი გაშალა საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში და მოსახლეობას მოუწოდა, მხარი დაეჭირა სალომე ზურაბიშვილისთვის, არ გაისარჯა უანგაროდ, ანუ არ გაისარჯა სამშობლოსთვის. აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნო, ეს არ ეხება ყველას, ეს ეხება იმ "პატრიოტებს", რომლებიც "სახალხო ფრონტის" მსგავსი ორგანიზაციის შექმნას და ივანიშვილის წინააღმდეგ ომის დაწყებას აანონსებენ**. მოკლედ, ამ ჯგუფის ერთი "მნიშვნელოვანი" ნაწილი ასულა სოლოლაკში და საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში გამარჯვების სანაცვლოდ მოუთხოვია მნიშვნელოვანი ჯილდო. მე არ დავაკონკრეტებ, რა სახის ჯილდო უნდა ყოფილიყო გაცემული ივანიშვილის მხრიდან, ამას ალბათ ისედაც ხვდებით. ეს მოხდა დაახლოებით ორი თვის წინ, საპრეზიდენტო არჩევნების ჩამთავრებიდან მალევე. გარკვეულ წრეებში იმ პერიოდშივე მჭობდნენ, რომ ივანიშვილსა და მის

10 გვ. →

როგორ შეიძლება ქვეყანა ნატოსკენ მიისწრაფოდეს და იმავე დროს ეკონომიკურად რუსეთზე, ანუ მის ოკუპანტზე იყოს მიბმული?

← 8 გვ.

უნდა ვიცოდეთ: რა ხდება „თიბი-სი ბანკთან“ მიმართებაში პროკურატურის მხრიდან. აქ საუბარი არ არის პროცესის პოლიტიკურ შეფასებაზე, არამედ იმ სამართლებრივ ასპექტებზე, რაც სამართალწარმოების პროცესთანაა დაკავშირებული.

— ოპოზიცია აცხადებს, რომ რუსეთს უნდა შევუტიოთ. ეს რამდენად მართებულად მიგაჩნიათ?

— ოპოზიცია, ამ შემთხვევაში, არის ინსტრუმენტი რეაქციული დასავლეთის ხელში. რამდენიმე ფრონტის გახსნა რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ ნებისმიერ ფასად, მათ შორის, უკრაინელი, მოლდაველი თუ ქართველი ხალხის ინტერესების ხარჯზე, რასაც დასავლეთი, ზოგადად, არად დაგიდევთ, რა თქმა უნდა, ეს არის ანგლო-საქსური გეო-პოლიტიკის განხორციელებული შტურმის შედეგი. საქართველო არ უნდა ვაქციოთ საერთაშორისო დაპირისპირების პოლიგონად, მით უმეტეს, ზესახელმწიფოთა დაპირისპირების პროცესში. ეს, წეღანაც იმიტომ ვახსენე, რომ სწორედ აქეთკენ მიჰყავთ საქმე. რაც უკრაინაში მოხდა, ყველამ ძალიან კარგად ვიცით. იქ, ძმათამკვლელი ომი არ წყდება. სიტუაციის არევა უნდათ მოლდოვაში და ახლა, საქართველოსაც მოადგნენ. ვინ იქნებიან ეს „ამრევები“ თუ არა სოროსის მიერ დაფინანსებული ჭინკა ორგანიზაციები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ პატრიოტულ მოტივად გაასაღონ შემახილები და სამხედრო რიტორიკის ხელშემწყობი განცხადებები გააკეთონ: თითქოს, ეს პატრიოტულია და დეოკუპაციის კონცეფციის განხორციელებას უწყობს ხელს. სინამდვილეში, პირიქით, ეს უფრო აღრმავებს და დრამატულს ხდის ოკუპაციას. კარგად გვახსოვს, ერთ-ერთი ასეთი ჭინკა ორგანიზაციის ათეულობით ლიდერის გაშიშვლებული უკანალი, რაც სხვა არაფერი იყო თუ არა საქართველოს სახელმწიფოს შეურაცხმყოფელი აქტი — შარვალჩახდილი ყაზილარები უკანალშეშვერილები, წაკუზულები იდგნენ რუსული შეიარაღებული ძალების წინაშე. ამით რა პერფორმანსი ჩატარდა და რა გამოხატულება ჰქონდა ყოველივეს, მსოფლიო მედია კიდეც ბეჭდავდა საქართველოსთვის შეურაცმყოფელი კონტექსტით. ეს იყო შედეგი, სხვა არაფერი არ დამდგარა. შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან სწორი დასკვნები უნდა გამოვიტანოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

აირჩიეთ სამში ერთი – გინდათ, დარჩით! გინდათ წადით! გინდათ გაირიცხებით!

← 9 გვ.

მხარდამჭერ რამდენიმე ე.წ. სამოქალაქო ლიდერს შორის შავმა კატამ გაირბინა, ანუ მათ მიიღეს სამი თითის კომბინაცია სოლოლაკის სასახლეში და ამიტომაც გ დაანონსდა "ფრონტის" შექმნის იდეა. ეს ჯგუფი ტრადიციას არა და არ ღალატობს, ეს ჯგუფი იგივე მეთოდს იყენებს, რაც გამოიყენა **ზვიად გამსახურდიას** წინააღმდეგ. გაიხსენეთ, როგორ შეიქმნა კონგრესი და რა შეხვედრები იმართებოდა ფილარმონიაში. დღეს იგივე სახეებმა დაინახეს, რომ ბიძინა ივანიშვილისგან ოქროს უზალთუნები აღარ გამოდნება და გავიდნენ ახალ საშოვარზე, მოემზადნენ სავაჭროდ "მავნებთან". კი, მაგრამ ვინ არიან ეს "მავნები", ვის უნდა ევაჭრონ? ამ ეტაპზე ჰორიზონტზე ჩანან მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი, მისი ბიძა თემურ ალასანია და რუსეთი. გაიხსენეთ, როგორ ამბობს ერთ-ერთ ფარულ ჩანაწერში თემურ ალასანია, ერთ მილიონ დოლარს გადავუხდი, ვინც ივანიშვილს გააგორებსო. თქვენ გგონიათ, ამ "იდეამ" ძალა დაკარგა? არა, ჩემო ძვირფასებო, პირიქით, ახლა შედის ძალაში, თან არ იფიქროთ, რომ ალასანია საკუთარ ფულს დახარჯავს, ამის მოსურნეები ბლომად არიან და ამას საქართველოდან გაქცეულებისა თუ საქართველოში დარჩენილი ავაზაკების ხელით გააკეთებენ. ბიძინა ივანიშვილმა თქვა, ჩემი მოკვლა არც ისე იოლიაო... მას შეიძლება დაავიწყდა ან გამორჩა, რომ ფიზიკური განადგურების გარდა არსებობს სხვა მეთოდებიც – მაგალითად, გარემოცვის დაშლა, ღალატი და შიგნიდან ციხის გატეხვა... მით უმეტეს მაშინ, როცა გარშემო ბევრი გყავს ისეთი, ვინც ფულის ტომარად გთვლის და საკმარისია, სხვამ მილიონები გადაუხადოს, ეგრევე გადაგეკიდება დანასისხლად. **ჩვენი ქვეყნის ბოლო 30-წლიან ეპოქეას თუ გადავხედავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ ამ ხალხისთვის ღალატი და ხელისუფლების დამხობა პროფესიაა – გამოჩნდება ვიღაცა, მივლენ, გაუგორდებიან ფეხებქვეშ, აულოკავენ თითებს, გამოწურავენ ლიმონივით, მიიღებენ მილიონებს და როცა ის ვილაცა მიხვდება, რომ ავაზაკებთან აქვს საქმე, როცა სალაროს**





კარს ცხვირწინ მიუჯახუნებს, ეგრევე შეესევიან დასამხობად. როგორ ფიქრობთ, კიდევ ერთხელ დაუჯდება თუ არა კოჭი ალჩუზე ამ ხროვას? მე ვფიქრობ, ამ ჯერზე მათ კოვზი ნაცარში უნდა ჩაუვარდეთ... ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილმა ქიციც იცის და ქიცმაცურიც, მეორე – ქართული საზოგადოება მიხვდა, ვისთან აქვს საქმე, მესამე – მიუხედავად იმისა, რომ "ნაციონალებმა" და მათთან გათანაბრებულმა პირებმა მოახერხეს, გარკვეული ფენები ივანიშვილის წინააღმდეგ განეწყოთ, მაინც ვერ მოამწიფეს სიტუაცია სარევოლუციოდ, რასაც ხელი შეუწყო მაჭუტაძეების გახრწნამ, ანუ ე.წ. ოპოზიციის გამარგინალებამ და უავტორიტეტობამ. მეტსაც გეტყვით, ამათ ისეთივე სუნი ასდით, როგორიც ასდის რუსთავორელ ნოდარა მელაძეს. შეგახსენებთ, სოფო ნიჟარაძემ უთხრა თავის დროზე მიხეილ სააკაშვილს, ნოდარას მძღ...ერის სუნი ასდისო.

და ბოლოს... კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამ ეტაპზე ცოტა გაუგებარია და აშკარად დაღვინებას საჭიროებს. ვგულისხმობ **ეკა ბესელიას, ლევან გოგიჩაიშვილის, გედეონ ფოფხაძისა** და მათთან გათანაბრებული პირების გასვლას პარლამენტიდან. ამ შემთხვევაში არსებობს რამდენიმე ვერსია: თუ გავითვალისწინებთ, რა უთხრა მათ პარტიიდან წასვლის წინ ბიძინა ივანიშვილმა, მაშინ ეს პროცესი არ არის მართული. თუმცა ვიღებთ იგივე შედეგს, როგორსაც მივიღებდით, რომ იყოს მართული. ივანიშვილს მათთვის უთქვამს, თუ გნებავთ დარჩით, თუ გნებავთ – წადით, თუ გნებავთ – გაგრიცხავთო. რა გამოდის? პარტიის ლიდერისთვის სულერთი გახლდათ, წავიდოდნენ, დარჩებოდნენ თუ გარიცხავდნენ. ამათ წასვლა ამჯობინეს და ახლა **ეკა ბესელიამ რამდენიც არ უნდა ირბინოს "რუსთავი 2"-ის სტუდიაში და რამდენი მადლობაც არ უნდა უთხრას ნიკა გვარამიას, ის მაინც ვერ გაიდგამს ფესვს ე.წ. გაერთიანებული ოპოზიციის წიაღში**, ეს მისთვის იქნება საბოლოო დასამარება. რა უნდა გააკეთონ გარიცხვას გადარჩენილებმა? ისინი დიდი ალბათობით (ეკა ბესელიამ ამის თაობაზე უკვე განაცხადა) შექმნიან პოლიტიკურ პარტიას და მოემზადებიან 2020 წლის არჩევნებისთვის, მათ აქვთ ამ ეტაპზე თეორიული შანსი, თავიანთ მხარეს გადაიყვანონ "ოცნებაზე" განაწყენებული ამომრჩეველი და ასევე მიიმხრონ ე.წ. ძველი გვარდია. თუ დააკვირდებით, გარიცხვას გადარჩენილები ერთ აუგ სიტყვასაც არ ამბობენ ბიძინა ივანიშვილზე და ვერც იტყვიან, მაშინ ეგრევე დაიწყება მათი მარგინალიზაცია. არსებობს საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ეს საკითხი არის მართული და სინამდვილეში ხდება "ქართული ოცნების" არა დაშლა, არამედ გაშლა. როგორც იცით, ეს მეთოდი ქართულ პოლიტიკაში კარგადაა აპრობირებული და მშვენივრად იყენებს "ნაციონალური მოძრაობა". წესით, "ოცნების" გაშლა უფრო ადრე უნდა მომხდარიყო, ცოტა დაგვიანებულადაც კი მეჩვენება. ვიმეორებ, ეს პროცესი მართულია თუ არა, ამას არ აქვს მნიშვნელობა, შედეგი მაინც ერთია – ყალიბდება რაღაც ძალა, რომელიც ვერასოდეს იქნება ივანიშვილისთვის დიდი საფრთხე. ვნახოთ, რა როგორ იქნება, ამას უახლოეს ხანში დავინახავთ... ამ ეტაპზე არც არის საჭირო ყველა კარტის გახსნა, რათა მტრებმა არ ისარგებლონ.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ორი მსახიობის, კიმის და დონალდის, პოლიტიკური სპექტაკლი ჩავარდა

წლევანდელი, რიგით მეორე შეხვედრა დონალდ ტრამპსა და კიმ ჩინ ინს შორის 27–28 თებერვალს ვიეტნამის დედაქალაქ ჰანოიში იყო დაგეგმილი. შეხვედრის დაწყებამდე თეთრი სახლის ადმინისტრაცია აცხადებდა, რომ ჰანოიში ეპოქალური შეთანხმება შედგებოდა. თავად დონალდ ტრამპიც ოპტიმისტურად იყო განწყობილი: „...იმედია, ჩემს მეგობართან შეხვედრა ნაყოფიერი იქნება“, — განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა სამიტის დაწყებამდე.

ვიეტნამში თავდაპირველად კიმ ჩინ ინი ჩავიდა ჯავშნოსანი მატარებლით (საინტერესოა, ლენინის შემდეგ თუ კიდევ ვინმე მგზავრობდა ჯავშნოსანი მატარებლით, ისიც 21-ე საუკუნეში). მგზავრობას სამი დღე-ღამე მოუნდა.

იმავე დღეს ჰანოიში დონალდ ტრამპიც ჩაფრინდა, რომელსაც ვიეტნამამდე 20 საათი დასჭირდა. ორივე ლიდერი სხვადასხვა სასტუმროში დაბინავდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ვიეტნამის ხელისუფლებამ დაცვის უპრეცედენტო ზომები მიიღო. უსაფრთხოებიდან გამომდინარე, კიმ ჩინ ინის ორეულ მსახიობს ქვეყანა დაატოვებინეს,

ხოლო დონალდ ტრამპისას აუკრძალეს ქუჩაში გრიმით გასვლა.

მოლაპარაკების დაწყებამდე, რომელსაც 3500 ჟურნალისტი აშუქებდა, დონალდ ტრამპს ყოფილი ძალოვან ჩინოვნიკები ურჩევდნენ მკაცრად წარემართა მოლაპარაკება და კედელთან მიეყენებინა კიმ ჩინ ინი. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა საჯაროდ ურჩია ჩრდილოეთ კორეის ლიდერს, ფაქტობრივად უარი ეთქვა განიარაღებაზე. ამის გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, კიმ ჩინ ინი მგზავრობისას ხშირად უკავშირდებოდა ტელეფონით ჩინეთის ხელისუფლებას.

სამიტი ჰანოიში დონალდ ტრამპის და კიმ ჩინ ინის პირისპირ შეხვედრით დაიწყო, რომელიც 45 წუთს გაგრძელდა.

საუბარი მეორე დღესაც განახლდა, ამჯერად დელეგაციების თანდასწრებით. დონალდ ტრამპმა და კიმ ჩინ ინმა შესვენებისას სასტუმროს ბაღშიც გაისეირნეს. ყველა მოელოდა, რომ წუთი-წუთზე ხელს მოაწერდნენ ერთობლივ შემაჯამებელ დეკლარაციასაც, რომელსაც ჟურნალისტებმა წინასწარ „ჰანოის ხელშეკრულება“ შეარქვეს, რომლის შემდეგაც ერთობლივი ოფიციალური სადილი გაიმართებოდა. მოულოდნელად პროცესი სრულიად საპირისპიროდ განვითარდა.

რეალურად რა გახდა სამიტის ნაუცბათევი შეწყვეტის ნამდვილი მიზეზი, დღემდე გამოცანად რჩება. ექსპერტები ყურადღებას ამახვილებენ ორი ლიდერს შორის დაძაბულ ურთიერთობაზე. მიუხედავად იმისა, რომ იღიმებოდა, კიმ ჩინ ინს უჭირდა უკმაყოფილების დამალვა. იმასაც ამბობდნენ, რომ ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა სამიტი ჩინეთთან სატელეფონო საუბრის შემდეგ შეწყვიტა. როგორც გაირკვა, მოლაპარაკების მაგიდა დონალდ ტრამპმა მიატოვა. მიზეზად თავდაპირველად ვენესუელაში არსებული დაძაბული პოლიტიკური ვითარება დაასახელეს ჟურნალისტებმა, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ დონალდ ტრამპმა სამიტი უსაფრთხოების საკითხებში თავის მრჩეველთან ჯონ ბოლტონთან საუბრის შემდეგ შეწყვიტა.

ახლა დილემის წინაშეა, ან უნდა გაამწვავოს ურთიერთობა საომარი რიტორიკით, ან თავი მოგვაჩვენოს, თითქოს ყველაფერი რიგზეა. თუმცა არსებული გლობალური პრობლემა ამით არ მოიხსნება“. ორი მსახიობის (ასე შეარქვეს სამიტს მიმომხილველებმა) თეატრის სპექტაკლი ჩავარდა, არც ოფიციალური სადილი გამართულა. საინტერესოა, რომ კიმ ჩინ ინი ვიეტნამში კიდევ ორი დღე დარჩა. როგორც ამბობენ, სამშობლოში მიმავალი გზად პეკინში გაჩერდება იქაურ ხელისუფლებასთან შესახვედრად, დონალდ ტრამპი კი თვითმფრინავის ბორტიდან ტელეფონით ესაუბრა სამხრეთ კორეის პრეზიდენტს და იაპონიის პრემიერ-მინისტრს, რომლებსაც სამიტის შესახებ ელაპარაკა.

ჰანოის სამიტის მსვლელობისას აშშ-ის კონგრესში დონალდ ტრამპის ყოფილი ადვოკატის მაიკლ კოენის გამოკითხვა მიმდინარეობდა. მან ყოფილ უფროსს „...რასისტი, მატყუარა და თაღლითი“ უწოდა. თუმცა დონალდ ტრამპის საარჩევნო შტაბის რუსეთთან

კავშირი უარყო. მისი განცხადებით, კონგრესში თავისი ოჯახის უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოვიდა. მას ფინანსური მაქინაციებისთვის 3 წლით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა და როგორც ამბობენ, ამ სასჯელის შემსუბუქებას ცდილობს. დონალდ ტრამპს ჰანოიში ჰკითხეს ამის შესახებ. „...კოენის გამოსვლას არ ვუსმენდი. როგორც ვნახეთ, ვერანაირი რუსული კვალი ვერ აღმოჩინეს. საშინლად გამოიყურებოდნენ“, — განაცხადა მან. ექსპერტების ვარაუდით, აშშ-ში „კუდიანებზე ნადირობა“ ჯერ კიდევ გაგრძელდება. დემოკრატები ყველაფერს გააკეთებენ, ტრამპის იმპიჩმენტის მისაღწევად.

გასულ კვირას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს ორი სხდომა მიეძღვნა ვენესუელის საკიხს. აქვე აღსანიშნავია, რომ ნიკი ჰეილის წასვლის შემდეგ თითქმის 3 თვეა, აშშ-ს უშიშროების საბჭოში მუდმივი წარმომადგენელი არ ჰყავს. ამიტომ სხდომებს სხვადასხვა პოლიტიკოსები ესწრებიან. ვენესუელის საკითხის განხილვისას, ელიოს აბრამსმა, რომელიც აშშ-ის ადმინისტრაციის წარმომადგენელია ვენესუელის საკითხში, თითქმის პირდაპირ მოითხოვა სამხედრო ჩარევა. გაეროს გენერალურმა მდივანმა ანტონიო გუტერიშმა კატეგორიულად განაცხადა: „...აშშ-ის სამხედრო ინტერვენციების დრო უკვე წავიდა. ახლა სამხედრო ოპერაციების დაწყებას რომელიმე ქვეყანაში უშიშროების საბჭო განიხილავს და გადაწყვეტს“. მართალია, ვენესუელაში ვითარება მიწყნარდა, მაგრამ ექსპერტები არ გამორიცხავენ მოვლენები კვლავ დაიძაბოს. 23 თებერვლის შემდეგ ხუან გუაიდო ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიდერებს ხვდებოდა. მან უხეშად დაარღვია ქვეყნის უმაღლესი სასამართლოს ვერდიქტი და დატოვა ვენესუელის ტერიტორია. სამშობლოში დაბრუნებისას გუაიდოს იქაური კანონმდებლობის მიხედვით ხანგრძლივი პატიმრობა ელოდება, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება აშშ-ის ადმინისტრაცია.

მიმომხილველები, რომლებიც ვენესუელაში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან, აღნიშნავენ, რომ გუაიდომ გუნება გაუფუჭა დონალდ ტრამპს. მან ვრ შეძლო ხალხისა და არმიის მიმხრობა. თუმცა აცხადებს, რომ ჯარის 80% ოპოზიციას უჭერს მხარს, რასაც არარეალურად აფასებენ პოლიტოლოგები. ასევე ამბობენ, რომ ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ პენსმა და სახელმწიფო მდივანმა პომპეომ ტრამპი შეაცდინეს, რომ ნიკოლას მადუროს წინააღმდეგ მოსახლეობის დიდი ნაწილი გამოდიოდა და მის ჩასანაცვლებლად მცირე დახმარება იყო საჭირო. ამიტომაც დათანხმდა ტრამპი, თორემ მას რთული პოლიტიკური კომბინაციები არ უყვარს.

გია ბურდული
551 71 27 07

ყველაზე ლამაზი წყვილები „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიების მანძილზე

კინოპრემია „ოსკარი“ ყოველთვის გვახარებდა ვარსკვლავური წყვილების ბრწყინვალე გამოსვლებით, მათი მოდური სამოსითა და მოულოდნელი იმიჯით.

ამ ცნობილმა წყვილებმა მაყურებელს თავი დაამახსოვრეს წითელ ხალიჩაზე გამოსვლისას და „ოსკარით“ დაჯილდოების ისტორიაში შევიდნენ.

ირინა შეიხი და ბრედლი კუპერი („ოსკარი“ 2019)

ირინა და ბრედლი 2019 „ოსკარით“ დაჯილდოების ყველაზე ნაზი და გულის ამაჩუყებელი წყვილი გახლდათ. ბრედლი წითელ ხალიჩაზე მეუღლესთან ერთად გამოჩნდა. მამაკაცი ნომინირებული იყო როლისთვის, რომელიც ფილმ „ვარსკვლავის დაბადებაში“ შეასრულა. წყვილმა, რომელიც დღეისათვის ჰოლივუდში ყველაზე მტკიცედ ითვლება, ბევრი ნაზი მომენტით დაამახსოვრა მაყურებელს თავი. გარდა ამისა, წითელ ხალიჩაზე წყვილი პოზირებდა ბრედლის დედასთან ერთად.

ასეთივე ნაზად გამოიყურებოდა ბრედლის და ირინას წყვილი წლევანდელ „ოქროს გლობუსის“ დაჯილდოებაზეც.

ანჟელინა ჯოლი და ბრედ პიტი („ოსკარი“ 2012)

ანჟელინამ ყველა მოხიბლა არაჩვეულებრივი კაბით, მისი გაშიშვლებული მუხლი ბევრი ხუმრობის საბაბი გახდა. ეს წყვილი მრავალი წლის განმავლობაში იდეალური იყო და მიუხედავად იმისა, რომ ისინი უკვე განქორწინებულები არიან და ბავშვებზე ერთპიროვნული მზრუნველობის მოსაპოვებლად იბრძვიან, ჩვენ მაინც ვიხსენებთ ამ წყვილს, როგორც ყველაზე ვარსკვლავურს და ვნებიანს. მათი გამოჩენა „ოსკარის“ 2012 წლის დაჯილდოებაზე დაუვიწყარ მოვლენად იქცა.

ჯენიფერ ლოპესი და ბენ აფლეკი („ოსკარი“ 2003)

ფილმ „ჯილის“ გამოსვლის შემდეგ ბენ აფლეკი და ჯენიფერ ლოპესი წითელ ხალიჩაზე ხელიხელჩაკიდებულები გამოჩნდნენ, რათა სამყაროსთვის თავიანთი ურთიერთობების შესახებ ეცნობებინათ. ამის მომენტისთვის ლოპესმა მენთოლის ფერის Valentino-ს კაბა ეცვა, აფლეკს კი კლასიკური შავი კოსტიუმი. თუმცა მათი ურთიერთობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ჩვენ შემოგვრჩა ფილმი „ჯილი“ რომელიც ორი პერსონაჟის დიდი სიყვარულის ამბავს გვიამბობს, რომელთა როლები შესანიშნავად ითამაშეს ჯენიფერ ლოპესმა და ბენ აფლეკმა.

ჯულია რობერტსი და ბენჯამინ ბრეტი („ოსკარი“ 2001)

ჯულია რობერტსმა „ოსკარის“ ქანდაკება 2001 წელს მიიღო ერინ ბროკოვიჩის როლისთვის. ამ ცერემონიაზე ვარსკვლავმა ყველა მოხიბლა Valentino-ს კაბით და წითელ ხალიჩაზე ბენჯამინ ბრეტთან ერთად გამოჩნდა.

გვინეტ პელტროუ და ბრედ პიტი („ოსკარი“ 1996)

1996 წელს ეს წყვილი ჰოლივუდში ყველაზე გამოჩენილი გახლდათ. „ოსკარის“ ცერემონიაზე ისინი ერთად მივიდნენ და ყველა გააოგნეს. პიტმა თავისი ვარცხნილობითა და მზის სათვალით, მისმა კოსტიუმმა და გვინეტის კაბამ, ღამის პერანგს რომ ჰგავდა, ყველა დაატყვევა... მათმა ოქროსფერმა თმამ და ერთმანეთის მიმართ გამოვლენილმა სინაზემ მოხიბლა პრესა და ამ ჰოლივუდელი ვარსკვლავების თაყვანისმცემლები.

ჯესიკა ბილი და ჯასტინ ტიმბერლეიკი („ოსკარი“ 2017)

როგორი ელეგანტური წყვილია! როგორც ჩანს, ჯესიკა ბილი თავად „ოსკარის“ ქანდაკებამ შთააგონა და ამიტომ აირჩია ოქროსფერი სამოსი. ჯასტინ ტიმბერლეიკს პატივი ერგო, ცერემონია საკუთარი კომპოზიციით გაეხსნა, რომელიც ნომინირებული იყო საუკეთესო სიმღერის კატეგორიაში (“Can’t Stop the Feeling”). მთელი ცერემონიის განმავლობაში ამ წყვილს ფოტოგრაფების ყურადღება არ მოკლებიათ.

რიზ უიზერსპუნი და რაიან ფილიპი („ოსკარი“ 2002)

ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები იყვნენ, როდესაც რის უიზერსპუნი და რაიან ფილიპი ერთად გამოჩნდნენ 2002 წელს „ოსკარის“ ცერემონიაზე ფილმის „სასტიკი თამაშების“ უზარმაზარი წარმატების შემდეგ. ისინი 1999 წლიდან 2007 წლამდე იყვნენ დაქორწინებულები და ალამაზებდნენ კინოპრემიის წითელ ხალიჩას თავიანთი ნაზი, გულწრფელი გრძნობებით.

ბიონსე და ჯეი-ზი („ოსკარი“ 2005)

Versace-ს ცნობილმა კაბამ, რომლით შემოსილმა ბიონსემ ტრიუმფალურად გაიარა ცერემონიის წითელ ხალიჩაზე, ბიონსესა და ჯეი-ზის წყვილის მიმართ პრესის წარმომადგენელთა მთელი ყურადღება მიაპყრო. ეს თავშეკავებული და ელეგანტური კაბა ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა ბრილიანტის საყურეებთან და სამაჯურთან. მისი მეუღლე, რომელსაც შავი კოსტიუმი ემოსა, პრაქტიკულად შეუმჩნეველი დარჩა. 2018 წელს წყვილმა ცოლქმრულო თანაცხოვრების ათი წლისთავი აღნიშნა.

ჰით ლეჯერი და მიშელ უილიამსი („ოსკარი“ 2006)

მსახიობებმა ერთმანეთი ფილმის „კუზიანი მთა“ გადაღებების დროს გაიცნეს და მაშინვე შეუყვარდათ ერთმანეთი. წითელ ხალიჩაზე გამოჩენის შემდეგ წყვილი დაიშალა, ხოლო 2008 წელს ჰით ლეჯერი ტრაგიკულად გარდაიცვალა ინტოქსიკაციით. მათ ჰყავთ საერთო შვილი მატილდა. ამ წყვილის გამოჩენა 2006 წელს „ოსკარის“ დაჯილდოების ცერემონიაზე, პრემიის ყველაზე განხილვადი თემა გახდა.

ჯენიფერ გარნერი და ბენ აფლეკი („ოსკარი“ 2013)

ამ წყვილში ბენ აფლეკი უფრო მოდურად და თანამედროვედ გამოიყურება. ჯენიფერმა Gucci-ს იასამნისფერი კაბა და Neil Jane-ს სამკაულებს მიანიჭა უპირატესობა. ამ შესანიშნავი წყვილის ფოტოები უკვე ისტორიაში შევიდა.

შერი და სონი ბონო („ოსკარი“ 1973)

შერის გამოჩენამ „ოსკარის“ 1973 წლის ცერემონიაზე გულგრილი ვერავინ დატოვა. მისი მოშიშვლებული სხეული და გამჭვირვალე ოქროსფერი ქსოვილი, რომელიც ძვირფასი ქვებითა და სტრაზებით იყო მორთული, ცერემონიის ისტორიად იქცა. შერის და სონის ქორწინებამ ათ წელს გასტანა და მშოფლიოს არაჩვეულებრივი დუეტი აჩუქა.

ხშირად ის სახეები, რომლებსაც ვარსკვლავები წითელ ხალიჩაზე წარმოგვიდგენენ, არანაკლებ მნიშვნელოვანია იმაზე, ვინ დაისაკუთრებს „ოსკარს“. მიუხედავად იმისა, რომ ამ წყვილებიდან ბევრი უკვე დაიშალა ან პრესის ყურადღების მიღმა დარჩა, მათი დაუვიწყარი სახეები და რომანტიკული ურთიერთობები მრავალმილიონიანი თაყვანისმცემლების მეხსიერებაში დარჩება. „ოსკარის“ ცერემონიის“ წითელი ხალიჩა იმის შესაძლებლობას იძლევა, სამყაროს საკუთარი ურთიერთობების შესახებ უამბონ, რასაც წარმატებით აკეთებენ კიდეც ჰოლივუდის ვარსკვლავები.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ილია ბეგიაშვილი – ლექსები

„ცოტანილა დავრჩით მეგობრები ძველი“

ილია ბეგიაშვილი და მე სულ ყმაწვილკაცები — ოცი-ოცდაერთი წლისანი შევხვდით პირველად „ცისკრის“ რედაქციაში.

ილია ლექსებს წერდა, მე პროზაიკოსად მომქონდა თავი.

შეხვედრიდან ერთ კვირაში დავმეგობრდით, რაც დადიანის ქუჩაზე ლუდით და არყით აღვნიშნეთ.

ილია იყო კეთილი, სიმართლის მოყვარული, ნიჭიერი, უშიშარი... კონფლიქტურიც იყო ჩვენი ძმა, თავისებური, ქიზიყური სიჯიუტე მოსდგამდა, მაგრამ რომ შევხვდებოდით, ჩვენ ჩვენს საერთო მონოკლიმატს ვქმნიდით, ერთმანეთს ცხოვრებას ვუმსუბუქებდით.

ილიას სხვა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარ ლექსებზე უფრო სერიოზული საქმე გამოუჩნდა. ეს იყო ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა: ეს ის პერიოდია, დემოგრაფიასა და დემოკრატიას რომ ვერ არჩევენ თბილისურ სნობისტურ წრეებში თუ სალონებში...

არადა, ჩვენი ყოჩაღი ილო შეკრებას შეკრებაზე მართავს მწერალთა კავშირის დარბაზში და ყველა, დიდი და გამორჩეული მწერალი მის სიტყვას ელოდება... ილია მარტო არ არის, ილოს მთელი ეროვნული მოძრაობა — ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მეთაურობით მასთან არიან. ილიას მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე და ნოდარ დუმბაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი და მუხრან მაჭავარიანი, ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ ფანჯიკიძე, თამაზ წივწივაძე... საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარე მწერალი ლევან სანიკიძე ხდება. ილია მისი პირველი მოადგილეა. თუმცა საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების დამაარსებელი, მისი სულისჩამდგმელი და ძრავი ჩვენი ძვირფასი ილიაა.

ერთხელ ზვიად გამსახურდია მეძახის და ილიასთან მაბარებს: ესა და ეს კაცი გააგდოს დემოგრაფიული საზოგადოებიდან, ის ეროვნული მოძრაობისა და დამოუკიდებლობის მტერიაო. თუ არ მოიცილებს, ჩემთან არ გამოჩნდესო! — ასეთი კატეგორიულია ზვიადი.

— რატომო?.. არ უთქვამს?

— ზვიადია, ვერ გავუბედე...

— კარგი, მე გავუბედავ.

ილია ფიცხობს, საერთო მეგობრისა და კოლეგის დაცვას აპირებს... სამწუხაროდ, ძალიან გვიან გაარკვია, ზვიადი მაგ საკითხში მართალი იყო...

ამ ამბავს ილო და მე ძალიან გვიან მივხვდით.

...ილიას ბობოქარ ცხოვრებაზე ერთი დიდი წიგნი დაიწერება.

აქ წარმოდგენილ წიგნს მისი სულიერი და სისხლისმიერი და — ქალბატონი ანა ბეგიაშვილი გამოსცემს, რომლის რედაქტორი ჩვენი დიდებული პოეტი და საერთო ძმა — თემურ ჩალაბაშვილი იქნება...

მე კი შუასაუკუნეების ერთ ჩინელ პოეტს სტრიგინს გავიხსენებ (თამაზ ჩხენკელის თარგმანს) „ცოტანიღა დავრჩით მეგობრები ძველი“...

ზაურ კალანდია



მიშიკოს

თუ ზღვამ გიხმო,
დათმე სანაპირო,
მარტოს გშობდა, შვილო, დედაშენი,
ვეფხვი მარტო დადის სანადიროდ, —
არწივთა ჯიშს მარტოდ ფრენა შვენის!
არა მარტო სევდამა და ურვამ,
მარტოობა სიყვარულმაც იცის,
არასოდეს მოგასვენოს გულმა
და მშობლიურ ზეცას ელაციცე.
მარტოხელას სითამამე დასციმციმებს,
ქარიშხალთან დგება ერთი-ერთზე,
ხშირად ბრძოლას ერთი კაცი იგებს,
ერთი კაციც ადის ევერესტზე.
თუ ზღვამ გიხმო,
დათმე სანაპირო,
მარტოს გშობდა, შვილო, დედაშენი,
ვეფხვი მარტო დადის სანადიროდ,
არწივთა ჯიშს მარტოდ ფრენა შვენის!

* * *

ასი გზა მქონდა სარჩევად,
ვერც ერთს ვერ ჩავწვდი ბოლომდე.
მზის მკრთალი სხივიც არ შემრჩა,
სითბოს რომ მომაგონებდეს.

ამ დაობლებულ ლექსთაგან
ერთი თუ შეგეხიზნება,
ხელს ნუ ჰკრავ,
შვილად მიიღე,
ჩვილი სითბოთი იზრდება.

* * *

ჩემი ღვინით, ძველი ღვინით
ვავსებ თიხის ფიალებს,
ჩემს ციხეზე ისევ ჩემი
ბაირაღი ფრიალებს!

ისევ ჩემი ზღვის ტალღა მლოკს,
საყვარელი ძაღლივით,
კვლავ ახალი ენერგიით
ფეთქავს მაჯადაღლილი.

ისევ მიხმობს მეციხოვნის
მოწოდების საყვირი,
მოვარდნილა ჩემი ლაფშა
გაქაფული აღვირით.

ისევ ჩემი სიმღერაა,
ქარს რომ მოაქვს მთებიდან,
მეგობარო, ბანი მომეც
ძველი აღმაფრენითა.

ჩემი ღვინით, ძველი ღვინით
ვავსებ თიხის ფიალებს,
ჩემს ციხეზე ისევ
ჩემი ბაირაღი ფრიალებს!

* * *

შემოტრიალდა დედამიწა თავბრუდამხვევად,
არც ძველი მინდა, არც ახალი დარდის გამხელა.

დამარხულია ოცნებათა დედაქალაქი,
გულის ფხანაა სჯა, ბაასი და ლაპარაკი.

გული მგელია — აფხორილი ღმუის ნადირი,
სამსხვერპლოს სუნზე ბუნაგიდან გამოვარდნილი.

ფეთქდება ტალღა, ერკინება ნაპირს ლომივით,
არც ბრძოლა მინდა, არც გმირობა გამოგონილი.

ცას დააჩნდება სრელა-სრელა სისხლი ყივარი,
როგორც ჭრილობა, ნახმლევი და ნამახვილარი.

* * *

მოდის ვიღაც შორეული,
მოდის, ჯიბრზე მოდის,
გვიანია, ეგებ ჯობდა,
ადრე გავცნობოდი.
მოდის ვიღაც შორეული,
შორი გზიდან მოდის.
ვეღარ ვიტან უსაშველო
ამ ცდასა და ლოდინს.
მოსახდენი უნდა მოხდეს,
თუ მომსვლელი მოდის,
ვეღარ ვიტან უსაშველო
ყოყმანსა და ლოდინს.
გვიანია, შავ ჩოხაში
მარტო ვეკმაროდი,
არა მკითხო, სხივნათელო,
როგორა და როდის,
მოდის ვიღაც შორეული,
თეთრი ცხენით მოდის!

* * *

უპატრონო ნახირივით არეულა ამინდი,
ვერ გავიგე, ვის ვეძახი, ვის ვუხმობ და რა მინდა,
გამახსენდა ამინდივით არეული ქვეყანა,
ვენახს ჭიგო გამოსცლოდა, ვაზი პირქვე ეყარა.
ქვეყანა კი ბოზსა ჰგავდა, შარაგზაზე გახერგილს,
დარჩენილი კაცები კი ნაბოზართა სარჩენი.
არ შველოდა უზნეობას სასამართლოს სარჩელი,
ბევრსაც თავი აღარ ება ხალხში გამოსაჩენი.
ძმა-ძმაზე და მამა-შვილზე დანასისხლად მისული,
ყვავილობდა ჩანაფიქრი, შორზე შორს გამიზნული.
უცხო თესლის, უცხო ჯიშის კმაყოფილი ხარხარი,
გარეკილი ქართველობა თავის ბარგი-ბარხანით.
შესაწირი ზვარაკივით ყელში დანადასმული,
ჯოჯოხეთის ტახტრევანზე თავის ნებით ასეული.
. . . . .
უპატრონო ნახზირივით არეულა ამინდი,
ამინდივით არეული ქვეყანა კი არ მინდა!

* * *

საით მიფრინავ, სულო ჩემო, სულო ტიტანო,
ამ ქარიშხლებში უშენობა ვით ავიტანო.

შემოზავთული უსაშველო სევდა არწივთა
გაშლილ მკლავებში დაჭრილივით შემომაცივდა.

საით გარბიხარ, ნაკადულო, გაუცინარი,
კი არ მოვმკვდარვარ, საუკუნის ვარ უძინარი.

რად მეღობება გზაზე მთები გოლიათები,
ვინ ააგორა შემზარავი კორიანტელი.

დადგება დრო და სხეულიდან შავ ჭირს გავდევნი,
ხომ იყო ერთ დროს საქართველო ორი ამდენი!

წის ბოლოს საბოლოო დასკვნას გამოგვიტანს კოსმოსი. ვინ ვართ – გულადი, კეთილშობილი ტახები თუ წუმპეში ამოთხვრილი ღორები

მიმდინარე წელი ჩვენს ქვეყანაში, უჩვეულოდ მძიმედ დაიწყო. ჯერ ღორის გრიპის ეპიდემია გვიტევდა. ათეულობით ადამიანი გარდაიცვალა. შემდეგ გაზის აფეთქების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა უმძიმესი შედეგები თ. გაზის გაჟონვით გამოწვეული ინტოქსიკაციით, ფატალური შედეგიც არ იყო ცოტა...ავტოკატასტროფებშიც საკმაოდ ბევრი ადამიანი დაიღუპა...პლიუს პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისი...ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ერთ-ერთ ინტერვიუში მიმდინარე წელს ასე ახასიათებდა – „ტახის-ღორის წელი არის ზოდიაქოს მეთორმეტე ნიშანი. ეს ნიშნავს რას? ჩვენ ვიცხოვრეთ მთელი თორმეტი წელი და როგორ გავიარეთ ეს გზა? მოვედით სად? ვისთან? მომავალი წლის ბოლოს საბოლოო დასკვნას გამოგვიტანს კოსმოსი. ვინ ვართ – გულადი, კეთილშობილი ტახები თუ წუმპეში ამოსვრილი ღორები? ეს ეხება თითოეულ ადამიანს



მთელ მსოფლიოში. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ტახის წელი, რომელიც საბოლოოდ გამოგვიტანს ვერდიქტს – ვინ ვართ და რას წარმოვადგენთ. ტახის წელი ძალიან მნიშვნელოვანია ფინანსური საკითხების თვალსაზრისით. მომავალ წელს იქნება არნახული ფინანსური რეფორმები, ტახი შემოიტანს რეალურ ცვლილებებს. 2019 ძალიან სერიოზული წელიწადია. ეს არის ლაკმუსის ქაღალდი საქართველოსთვის.

2019 წელში აუცილებლად მოვლენ ქარიზმატული, ახალი პოლიტიკური ლიდერები. აუცილებლად ჩამოყალიბდება მესამე პოლიტიკური ძალა. ისინი თანდათან შემოვლენ საქართველოში. ესაა საუკეთესო პერიოდი უცხოეთთან ურთიერთობისა და ამიტომ ქვეყანას არ აქვს უფლება, ამ მიმართულებით არ იმუშაოს. უნდა გააორმაგონ ძალისხმევა, იმიტომ რომ ამ წელს ურთიერთგაგება რადიკალურად მატულობს. საკმაოდ რთული გვაქვს იანვარი. შემდგომ რთული იქნება ივნისი-ივლისი. ყველაზე მძიმე კი – სექტემბერი-ნოემბერი. ამ პერიოდში შეიქმნება პრობლემები ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მოსალოდნელია ეკოლოგიური კატასტროფები, სხვადასხვა სახის კონფლიქტები და ტერორისტული აქტები.“...

ღორის მმართველი ნიშანი იყო 1935, 1947, 1959, 1971, 1983, 1995, 2007 წლებში. გავიხსენოთ, რა მოხდა 1983 წელს (ღორის მმართველ ნიშანში) 18 ნოემბერს აეროფლოტის თვითმფრინავის გატაცება შვიდმა მეგობარმა სცადა: გეგა კობახიძე, თინა ფეტვიაშვილი, დავით მიქაბერიძე, სოსო წერეთელი, გია ტაბიძე, კახა და პაატა ივერიელები. ამ ახალგაზრდების სახელი ზოგისთვის ტერორისტებთან, ზოგისთვის კი თავისუფლებისთვის მებრძოლ ადამიანებთან ასოცირდება.

საზღვარგარეთ წასვლის მსგავსი პრეცედენტი საქართველოში 1971 წელს მომხდარი იყო, როცა მამა-შვილმა მოახერხა სოხუმიდან ბათუმის მიმართულებით გასაფრენი თვითმფრინავის თურქეთში გადაყვანა. (1971 წელიც ღორის წელიწადი გახლდათ. ცეკას პირველი მდივანი კი ჯერ კიდევ ვასილ მჟავანაძე) თურქეთის ხელისუფლებამ მაშინ უარი თქვა მათ გადმოცემაზე და ეს ამბავი გამტაცებლებისთვის მშვიდობიანად დასრულდა.

1983 წლის 18 ნოემბერს, თბილისის აეროპორტში მომხდარი ტრაგედიის დროს, თვითმფრინავში ეკიპაჟის 3 წევრი და ერთი მგზავრი გარდაიცვალა. სასამართლო პროცესი 1984 წლის 23 აგვისტოს დასრულდა.

შემდგომ ღორის მმართველ წელიწადს, 1995 წლის 29 აგვისტოს შევარდნაძეს ტერაქტი იმელის შენობის ეზოში მოუწყეს. სახელმწიფოს მეთაური გადარჩა. უშიშროების მაშინდელ მინისტრს იგორ გიორგაძეს ქვეყნიდან გაქცევა მოუწია. ტერაქტის მოწყობის ბრალდებით ჯაბა იოსელიანი დააპატიმრეს. აფეთქების მომენტში იოსელიანიც იმელის შენობაში იმყოფებოდა. მასთან ერთად იყო მისი დაცვის უფროსი თამაზ ფანჩულიძე. მისი თქმით, იმ ტერაქტმა იოსელიანიც სერიოზულად დააზარალა. ტერაქტთან იოსელიანის რაიმე კავშირს მისი დაცვის უფროსი კატეგორიულად უარყოფდა. ეჭვი ქონდა, რომ ამ ტერაქტის უკან შოთა კვირაია იდგა.

2007 წლის 27 სექტემბერს ირაკლი ოქრუაშვილი თავდაცვის მინისტრობის დროს ფულის გამოძალვის, ფულის გათეთრების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და სამსახურებრივი გულგრილობის ბრალდებით დააკავეს. იმდროინდელი მთავარი პროკურორის მოადგილის, ნიკა გვარამიას თქმით, გამოძიების მიერ თავდაცვის სამინისტროში გამოვლინდა რამდენიმე ათეული მილიონი ლარის გაფლანგვისა და მითვისების შემთხვევები. 28 სექტემბერს პარლამენტის წინ ოქრუაშვილის გათავისუფლების, ვადამდელი არჩევნების და საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმების მოთხოვნით აოპოზიციის საპროტესტო აქციები, მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით, 2007 წლის 3 ნოემბერს დაიწყო. 2007 წლის 7 ნოემბრისთვის ოპოზიციამ პარლამენტის შენობასთან „კარვების ქალაქის“ გაშლა დააანონსა.იმავე დღეებში თბილისში არსებულ სახელმწიფო დაწესებულებებთან „სირცხვილის კორიდორების“ მოწყობა გრძელდებოდა. 2003 წლის შემდეგ ეს ყველაზე ფართომასშტაბიანი აქცია იყო ხელისუფლების პოლიტიკის წინააღმდეგ.ნ. აქციის ორგანიზატორები აცხადებდნენ, რომ “თავიდან მოეშორებინათ” და „დაემხოთ“ სააკაშვილის რეჟიმი.

2007 წლის 7 ნოემბრის აქცია პოლიციის მიერ მონაწილეთა დაშლით, ცრემლსადენი აირის, ხელკეტების, რეზინის ტყვიების, აკუსტიკური თოფებისა და წყლის ჭავლის გამოყენებით დასრულდა. იმავე საღამოს ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმი შეიჭრა, ტელეკომპანიის მაუწყებლობა გაითიშა. პოლიტიკური კრიზისის საპასუხოდ, მაშინდელმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა თხუთმეტი დღით საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა და ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა. მოკლედ, ღორის-ტახის წელიწადი რიგ შემთხვევაში ისეთ ტალახს „იწებებს“ წლები ვერ რეცხავს! ვასილ მჟავანაძემ უსისხლოდ დაასრულა თვითმფრინავის გატაცება და შეელია ორ მოქალაქეს ხოლო ედუარდ შევარდნაძის ამბიციამ „თვითმფრინავის ბიჭებიც“ შეიწირა და უდანაშაულო ხალხიც. შევარდნაძის უბეში გამოზრდილი, სისხლისმსმელი სააკაშვილიც ღორულად მოიქცა ღორის სახელობით წელიწადში და დამსახურებულად აირტყა ის ტალახიც რომელსაც ვერასდროს ჩამოირეცხავს.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ლერი მათურელის ხსოვნას

ჩვენო ლერი, დიდო ტკივილო და ძვირფასო მეგობარო, არასოდეს დაგვავიწყდება ავადმოსაგონარი სამშაბათი, 2019 წლის 5 მარტი.

ამ დღეს გადახვედი ზეციურ სამყოფელში.

მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის დაყრილი მიწა, ჩვენო ძმაო.

უფალმა დაგიმკვიდროს იმქვეყნიური სასუფეველი.

მოგვენატრები და გვემახსოვრები, სანამ დავაბიჯებთ აქაურ დროებით წუთისოფელში.

შენი სულისთვის მუდამ მლოცველნი, შენი მეგობრები: ბესო ცარციძე, იოსებ ასათიანი, გიორგი ბულაშვილი, ნათია ტყებუჩავა, ირი ხერგიანი, ელენე არაბული, ეკა ავალიანი.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“

რუსთაველის გაშზირზე მდებარე რესტორანს „ივერონი – ხინკლის სახლი“. უკვე ორი წელიწადია დარგის ლიდერის წოდებით ავჯილდოებენ. მძლავრი კონკურენციის პირობებში და კულინარიის ისეთი ტრადიციების მქონე ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ეს ადვილი არ უნდა იყოს. მაგრამ ამას ახერხებს „ივერონი – ხინკლის სახლი“ მისი ხელმძღვანელის ქალბატონი ნინო თევდორაშვილის თაოსნობით.

რესტორანი დახვეწილი დიზაინით გაფორმებული ინტერიერით, მომსახურების მაღალი დონით, პროფესიონალი მუსიკოსებით ყოველ დღე დღესასწაულს სთავაზობს სტუმრებს.

მიბრძანდით რესტორან „ივერონი – ხინკლის სახლში“. იქ ხელსაყრელ ფასად უგემრიელეს კერძებს მიირთმევთ, შესანიშნავად მოგემსახურებიან და დაუვიწყარ დროსაც გაატარებთ.

რესტორანი „ივერონი – ხინკლის სახლი“
ვარდების მოედანზე, სასტუმრო „რედისონის“ წინ.

წამალი „სალხინო“ ქართული ფლორის საოცრება

პრეპარატს ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

კომპლექსური თერაპიის დროს გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების, პირის ღრუს, სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების: ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.



ტელ: 577 49-94-84

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

– რა შემთხვევაში ხდება სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის შეჩერება?

– თქვენთვის საინტერესო საკითხს მთლიანად პასუხობს საქართველ; ოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 167- ე მუხლი, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 167. სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის არდაწყება და შეჩერება

1. სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება პირის დაკავებისთანავე ან ბრალდებულად ცნობისთანავე (თუ ის არ დაუკავებიათ).

2. სისხლისსამართლებრივი დევნა ან/და სასამართლო განხილვა არ უნდა დაიწყოს ან უნდა შეჩერდეს:

ა) თუ საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ თანხმობა არ მისცეს საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, გენერალური აუდიტორის, მოსამართლის იმ ვადით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემაზე, რა ვადაშიც პირს იცავს იმუნიტეტი;

ბ) თუ დაისვა უცხოელისათვის იმუნიტეტის ჩამორთმევის საკითხი – საკითხის დასმის დღიდან მის ოფიციალურად გადაწყვეტამდე;

გ) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143 1 -ე ან/და 143 2-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დაზარალებული პირის მიმართ – მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში / ეს მუხლები ტრეფიკინგის მსხვერპლთ ეხებათ, როგორც სრულწლოვანს, ისე არასრილწლოვანს/;

დ) თუ კანონის კონსტიტუციურობის თაობაზე სასამართლომ მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს – მიმართვის დღიდან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული რომელიმე გარემოების არსებობის შემთხვევაში გამოძიებისას პროკურორი, ხოლო საქმის სასამართლო განხილვისას – სასამართლო მხარის შუამდგომლობით იღებს გადაწყვეტილებას სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და სასამართლო განხილვის შეჩერების შესახებ.

4. თუ ამ მუხლის მე-2 ნაწილში აღნიშნული შეჩერების საფუძველი აღარ არსებობს, სასამართლო განხილვა/სისხლისსამართლებრივი დევნა უნდა დაიწყოს/განახლდეს.

5. საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის, საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრის, საქართველოს სხვა საერთო სასამართლოს მოსამართლის, გენერალური აუდიტორის, საქართველოს სახალხო დამცველის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის, დიპლომატიური იმუნიტეტის მქონე პირის, აგრეთვე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს იმ წარმომადგენლის, რომელიც თავისი უფლებამოსილების განხორციელებისას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების შესაბამისად სარგებლობს იმუნიტეტით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, დაპატიმრებისა და მათ მიმართ სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიების გამოყენების განსაკუთრებულ წესს განსაზღვრავს საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, ეს კოდექსი და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტები.

* * *

– რა არის საკუთვნებელი სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით?

– საქართველოს სამოქალქო კოდექსის მუხლი 151. საკუთვნებელი

1. საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისთვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და, დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით, ითვლება საკუთვნებლად.

2. ნივთი, რომელიც მიწასთან არის დაკავშირებული და რომლის მოცილებაც მიწიდან შესაძლებელია სასაქონლო ღირებულების დაკარგვის ან არსებითი დანაკლისის გარეშე, ასევე მიიჩნევა საკუთვნებლად.

* * *

– პირველი ინსტანციის სასამართლომ ჩემს სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც მოწინააღმდეგე მხარემ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მივმართე სააღსრულებო სამსახურს, რომელმაც არ აღასრულა გადაწყვეტილება. რამდენად სამართლიანია ეს?

– ეს სამართლიანია, რადგან გადაწყვეტილება გასაჩივრებულია სააპელაციო წესით. ანუ, მას არ აქვს დასრულებული სახე, რაც იმას ნიშნავს, რომ გადაწყვეტილება არ არის შესული კანონიერ ძალაში. დაელოდეთ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას და ასევე, შემდეგ, თუ რომელიმე მხარემ გაასაჩივრეთ საკასაციო ინსტანციაში — საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ასევე, დამატებით გეტყვით შემდეგს: არსებობს მოთხოვნები, რომელთა დაუყოვნებლივი აღსრულება ხდება 1- ლი ინსტანციის სასამართლოში. თქვენ არ აღგინიშნავთ თქვენს შეკითხვაში, ექვემდებარებოდა თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ აღსრულებას. თუ ექვემდებარებოდა, მაშინ სააღსრულებო სამსახური არ უნდა დაელოდოს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის გადაწყვეტილებებს.

პოდაგრას – ამ ვერაგ დაავადებას, რომელსაც დღეს მედიცინა ვერ შველის, კურნავს ჰომეოპათიური პრეპარატი „კოლხიკუმ-ჰერბი“

ქართველი მეცნიერი ექიმი-ჰომეოპათი, პოპულარული პრეპარატების: „გულის ელექსირის“ და „მამოსილის“ შემქმნელი, ბატონი კახა საბახტარაშვილი, ამჯერად, ჰომეოპათიური საშუალებების გამოყენებით, ართრიტის ყველაზე გავრცელებული დაავადების — პოდაგრის მკურნალობის მეთოდებზე გვესაუბრება.

— ბატონო კახა, რას წარმოადგენს პოდაგრა და რა საფრთხეს უქმნის ის ადამიანის ჯანმრთელობას?

— გაგიკვირდებათ და, პოდაგრას არისტოკრატების დაავადებას უწოდებენ, თუმცა მას გენეტიკასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

დაავადება ჩნდება ცხიმოვანი

საკვების და ღვინის, განსაკუთრებით, შავი ღვინის სისტემატიურად ჭარბად მიღების გამო.

ადამიანის ორგანიზმისთვის ცილები უდავოდ საჭირო ნივთიერებებია, თუმცა, მაგალითად, შემწვარი ხორცის, ღვინის ყოველდღიური გადაჭარბებული მიღება ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნებლად მოქმედებს. ამ დროს ორგანიზმში იწევს შარდმჟავა მარილების კონცენტრაცია, რაც შემდეგ მთელ რიგ დაავადებებს აჩენს.

თავად პოდაგრა აერთიანებს ბევრ ისეთ დაავადებას, რომლებიც დღემდე არც არის შესწავლილი თანამედროვე მედიცინის მიერ.

მაგალითად, ადამიანს მოულოდნელად უმაღლდება არტერიული წნევა, რომლის მიზეზი, ერთი შეხედვით, გაუგებარია. პაციენტი მიმართავს კარდიოლოგს, თუმცა ექიმი ვერ ხვდება, რა არის წნევის მომატების მიზეზი. მაღალი წნევა კი, ადვილი შესაძლებელია, გამოიწვიოს არა გულის დაავადებებმა, არამედ პოდაგრამ.

პოდაგრის აღმოცენებას ხელს უკყობს შარდმჟავა მარილების კრისტალების ჩალაგება სახსრებში და ყველაზე ხშირად ცერა თითის სახსარში.

ორგანიზმში გაჩენილ მოჭარბებულ შარდმჟავას კრისტალებს ბოლომდე ვერ ფილტრავს თირკმელი. ეს კრისტალები არა მხოლოდ სახსრებს შორის, არამედ თირკმელშიც ილექება და იწვევს თირკმლის დაზიანებას.

პოდაგრას ძლიერი ტკივილები ახასიათებს.

ტკივილები იწყება ღამით.

ეს მოუთმენელი განცდაა.

— როგორც ვიცი, თქვენ ეფექტურად მკურნალობთ პოდაგრას.

— ოფიციალური მედიცინა

პოდაგრას ვერ კურნავს. თუმცა არსებობს „ალოპურინოლის“ ჯგუფის პრეპარატები, რომლებიც შესამჩნევად ამცირებენ ორგანიზმში შარდმჟავა მარილებს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს პრეპარატი საგრძნობლად აზიანებს თირკმელსა და ღვიძლს. ამიტომ ამ წამლის და მისი ჯგუფის სხვა პრეპარატების მიღება არაა უსაფრთხო ჯანმრთელობისთვის.

გამოსავალი არის ჰომეოპათიური წესით დამზადებული პრეპარატები, რომელთაგან ერთ-ერთი და შეიძლება ითქვას, ძირითადი პრეპარატი „კოლხიკუმ-ჰერბია“. იგი მზადდება მცენარე კოლხიკუმისგან. წამალი ჩემს მიერ არის დამზადებული და მხოლოდ ჩვენს კლინიკაშია ხელმისაწვდომი.

სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო: ჰომეოპათიური მეთოდით დამზადებული პრეპარატი „კოლხიკუმ-ჰერბით“ პოდაგრის პროგრესირება მნიშვნელოვნად ფერხდება, უკეთეს შემთხვევაში კი დაავადება საერთოდ ქრება.

შეგახსენებთ, აუცილებელია, ამ ავადმყოფობის დროული მკურნალობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიძლება განვითარდეს თირკმლის უკმარისობაც კი.

— სახელწოდება კოლხიკუმი სიძველესთან ასოცირდება.

— კოლხიკუმი შხამიანი მცენარეა. ძველ რომში და საბერძნეთში მას უძლიერეს შხამად თვლიდნენ. სიკვდილით დასჯისთვის იყენებდნენ ბორჯიები ძველ რომში, რომელთაც, ჩემი ვარაუდით, სამედიცინო ცოდნა ასევე ძველი კოლხეთიდან ჰქონდათ მიღებული.

— ცნობილი ჩეზარე ბორჯია ამ წამალს პოტენციის ასამაღლებლად ხომ არ იყენებდა?

— კოლხიკუმი სექსუალური პოტენციის გასაძლიერებლადაც გამოიყენებოდა ჯერ კიდევ ჰიპოკრატეს დროიდან. იგი დიდი დოზით მომწამლავია, ხოლო მისი ჰომეოპათიური დოზირებით მიღება მრავალი დაავადების განსაკურნად გამოიყენება. მათ შორის პოტენციის ასამაღლებლადაც. არაა გამორიცხული ჩეზარე ბორჯია ამ წამალს არა მხოლოდ შხამად, არამედ სწორედ მაგ დანიშნულებითაც იყენებდა.

რაც შეეხება პოდაგრას, კოლხიკუმის მცირე დოზებით მიღება იმიტომაც არის სასარგებლო პოდაგრის მკურნალობისას, რომ მას არ გააჩნია მიჩვევის ეფექტი და საერთოდაც, მოქმედების საკმაოდ ფართო სპექტრი აქვს.

„კოლხიკუმ-ჰერბით“ ვმკურნალობ არა მხოლოდ პოდაგრას, არამედ ღვიძლის ციროზს, თირკმლის უკმარისობას და ა.შ.

მე-20 ს-ის დასაწყისში მედიცინაში აღნიშნავდნენ, რომ კოლხიკუმს ანტისიმსივნური მოქმედების ეფექტი ჰქონდა. ამ მცენარისგან დამზადებული მალამოები კანის კიბოს სამკურნალოდაც გამოიყენება, მწვავე ლეიკოზების დროსაც და სხვა.

კოლხიკუმი კობინაციაში სხვა პრეპარატებთან ერთად პოდაგრის სამკურნალო ერთი უძლიერესი საშუალებაა. ზემოთაც აღვნიშნე და კიდევ გავიმეორებ, ცხოვრების არაჯანსაღი წესი, ალკოჰოლი, თამბაქო, არანორმირებული კვება იწვევს პოდაგრას.

მედიცინაში არსებობს ტერმინი — პოდაგრული თირკმელი. რაც გულისხმობს იმას, რომ შარდმჟავა მარილები, რომლებიც უნდა გამოყოს თირკმელმა, თირკმლის ფუნქციის დარღვევისას, დაზიანებული ნეფრონების მიზეზით, თირკმლის უკმარისობას იწვევს.

ასეთ შემთხვევებში ჰომეოპათიური წესით დამზადებული პრეპარატი „კოლხიკუმ-ჰერბი“ შეუცვლელია.

— რითი უნდა იკვებოს პოდაგრით დაავადებულმა?

— ამ დაავადების მატარებლისთვის კატეგორიულად მიუღებელია ცხოველის წითელი ხორცი, ბულიონები, ღვინო. უმჯობესია მიირთვან ვეგეტარიანული წვნიანები, მოხარშული კარტოფილი, ქათმის ხორცი, უცხიმო თევზი, ხაჭო, ყველი, მაწონი, თაფლი და მთელი კვირის განმავლობაში, მხოლოდ 3 ცალი მოხარშული კვერცხი.

მოკლედ, პოდაგრა ვერაგი დაავადებაა, რომელსაც ოფიციალური მედიცინა ვერ კურნავს. მისი მტერი მხოლოდ და მხოლოდ ჰომეოპათიური წესით დამზადებული „კოლხიკუმ-ჰერბია“.

ირანდა კალანდაძე

ექიმ-ჰომეოპათს, ბატონ კახა საბახტარაშვილს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: 593 3170 34.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983